1927 წ. ოქტომბერი.

№ 22.

საქართველოს დამოუკიდებელი

La Géorgie Indépendante

Edition mensuelle

1927—OCTOBRE N° 22

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ათი წლის თავი.

ბოლშევიკები დიდ სამზადისში არიან, რათა ზეიმით გადაიხადონ ათი წლის თავი საბჭოთა რეჟიმისა. არ არის კუთხე, ქალაქი ან სოფელი, სადაც ილაჯს არ იწყვეტდენ კრემლის დამქაშნი ოქტომბრის დღეების ნაირ-ნაირ სურათებში წარმოსადგენათ. ნიმუშები ამისათვის ცენტრში მზადდება, სწორეთ აქ უნდათ დაანახვონ ხალხს, ასე ვთქვათ, ხორცშესხმულათ, როგორ დაჰკლეს მისი თავისუფლება, ახადეს ღირსება, გაცარცვეს, როგორ არხეინათ გადადიან ისინი დღესაც მის ზურგზედ მალაყს.

მთელი ამ «საქმეთა საგმიროთა» აპოთეოზი ლენინია, რა თქმა უნდა, რომლის სურათი, ქანდაკება კერპად აღიმართება ყველგან, და მის წინაშე ლიტანიებს დასასრული არ ექნება, ისე როგორც თავშეუკავებელ ტრაბახს ეგრ. წოდ. «სოციალისტურ მიღწევებზე».

ჩვენ არ ვკისრულობთ მათ ჩამოთვლას... არც დახვრეტილთა და ნაწამებთა რაოდენობის აღნუსხვას. ჩეკა გარდაჰქმნეს გეპეუდ, ხოლო ჯურღმულები იგივეა, საწამებელი იარაღებიც, მეთოდებიც. ციხე-საპყრობილენი ვერ იტევენ პოლიტიკურთ, სოლოვკებში სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძვიან ისინი. ქვეყანა სასაფლაოდ არის ქცეული.

და ზედ დავლურს უვლის ქამი კბილებში ბებუთით, თვალები გადმოვარდნილი, ბანჯგვლიანი, როგორც მას ხატვენ უცხოეთში. მხოლოდ ასეთ ველურებს შეეძლოთ ხოცვა-ქლეტა სისტემად ექციათ, საკაცობრიო იდეალები—დაცინვად, მშრომელთა მისწრაფება—ცარცვად. ისინი დაეპატრონენ ხალხის ავლა-დიდებას, მის შრომას, ტვინსაც კი,—და ყველა ეს ხმარდება ქურუმთა ახალ კასტის შენახვას და განუკითხავ ბატონობას.

უსაზღვროა ბოლშევიკების უტიფრობა, მათ მოინდომეს ეს ველური რეჟიმი მთელ მსოფლიოზე გაევრცელებიათ! შედეგი გამანადგურებელია მათთვის. საბჭოთა კავშირი მორალურ კარანტინის ქვეშ იმყოფება, მისგან იმიჯნებიან, სწყვეტენ დამოკიდებულებას, მის ელჩებს რწმუნების ბარათს თავზედ ახევენ, ჩხრეკენ მის წარმომადგენლობათ, როგორც სამეძაო სახლებს.

მაგრამ ბურჟუაზიული მთავრობები რაა, როცა პროლეტარიატიც ზურგს აქცევს «პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს»! იყო დრო, როცა უცხოეთის მუშათა კლასი ერთგვარი სიმპატიით უცქერიდა ცარიზმის ნანგრევებზედ გამარჯვებულ ბოლშევიზმს. დიახ, იყო და წავიდა ეს დრო. უკვე აქაც სასტიკი მიჯნაა გაყოლებული. მუშათა კლასის ნაციონალური და ინტერნაციონალური ორგანიზაციები დაუზოგველათ ებრძვიან მოსკოვის დამრღვევ გეგმებს.

რაც ევროპაშია, იგივეა აზიაში, ამერიკაში—მთლათ უარესი. ისე დიდია, მაშასადამე, «მიღწევანი», ათი წლის თავზე, რომ ბოლშევიკებიც ცახცახებენ მათი მსხვერპლი არ გახდენ. ისინი აგონებენ უტყვად ქცეულ ხალხს დღეს თუ ხვალ ომს გამოგვიცხადებს კაპიტალისტური მსოფლიოო. ნამდვილათ კი მეორე პროცესი ხდება: დაწინაურებულ ქვეყნების თანდათანი თანხმობა იმაში, რომ მოსკოვთან სხვაგვარ არ შეიძლება გამკლავება, თუ არა საერთო ფრონტით, ეკონომიური რეპრესიებით, კრედიტის აღკვეთით, ეს ზომები გაცილებით უფრო მკვეთრია და იაფი, ვინემ ომები; მოსკოვს სწორეთ ეს არ ასვენებს.

ფრანგები იტყვიან—დამორჩილება ან გადადგომაო. მოსკოვს არ შეუძლია არც ერთი, არც მეორე. დამორჩილება ნიშნავს სხვის საქმეში ჩარევაზე ხელის აღებას, ვალების ცნობას, ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას, უფლებრივ გარანტიების აღდგენას, რაიც, ერთათ აღებული, გადადგომას უდრის.

ტროცკი-ზინოვიევის ოპოზიცია სწორეთ ამ ცოდვებში სდებს პოლიტბიუროს ბრალს, თუმცა მას ეს არ ჩაუდენია, ერთის გამოკლებით, შეიძლება,—ვგულისხმობთ საფრანგეთის მიმართ ვალის საკითხში წაჩოქებას. ოპოზიცია იმაშია მართალი, რომ ეს კითხვები—ვალის, ვნეშტორგის თუ სხვების—საშინელის სიმწვავით ისმის საბჭოთა წინაშე, და მათი გადაჭრა თუ გადაუჭრელობა ერთნაირათ სპობს მათ ხელისუფლებას.

მიუხედავათ უუფლებობისა და სახელმწიფო მონოპოლიებისა, ცხოვრება, თუმცა კუს ნაბიჯით, მაინც მიდის წინ. სოფლის მეურნეობა, ერთის მხრით, მრეწველობა-ვაჭრობა, მეორეს მხრით, მიადგენ იმ საზღვარს, რომლის იქით მათი განვითარება, უბრალო არსებობაც შეუძლებელია, თუ ძირიანფესვიანათ არ შეიცვალა არსებული ჯოჯოხეთური პირობები.

დიდია ცდუნება, რომ პოლიტბიუროს, რომელსაც მხოლოდ თავის გადარჩენა აინტერესებს, ლენინის «პერედიშკა» არ სცადოს და არ დასთმოს «დროებით» ყველა ის, რასაც უცხოეთის ბურჟუაზია მოითხოვს, და სამაგიეროთ მიიღოს კრედიტები, ან უფრო სწორათ: კაპიტალი შევიდეს საბჭოთა კავშირში, დაეპატრონოს იქ მრეწველობა-ვაჭრობას, მთელი ზედა და ქვედა სიმდიდრენი გახადოს თავის ექსპლუატაციის ობიექტად. კავშირის ტერიტორია იქცეოდა ამ შემთხვევაში ეკონომიურ კოლონიად, ხოლო პოლიტიკური ძალა-უფლება თუ გინდ სულ ცოტა ხნით ისევ სტალინის ჯგუფს შერჩებოდა. ნუ დაივიწყეთ, ეხლაც არის აზიაში ქვეყნები, სადაც უცხოელი კაპიტალისტი დაპატრონებია მთელს სიმდიდრეს, ხოლო ადგილობრივი დესპოტია ხმლით ხელში წესიერებას იცავს!

აი, ეს იქნებოდა ის რასაც ტროცკი ტერმიდორს ეძახის. ის არ ცდება იმაშიც, რომ პოლიტბიუროო თანდათან ბონაპარტისტულ მანერებს ითვისებს. არის ერთი დიდი განსხვავებაც, ყოველ შემთხვევაში. ნამდვილი ბონაპარტი ფართე სარბიელს უხსნიდა საფრანგეთის ნაციონალურ ბურჟუაზიას და მით უზრუნველყოფდა ქვეყნის ეკონომიურ დამოუკიდებლობას. ყალბი ბონაპარტები, პირიქით, მარტო უცხოელების მიმართ თუ გამოიჩენენ «ლიბერალიზმს», თორემ საკუთარი ბურჟუაზია და მთელი ხალხი მისი ქუსლის ქვეშ უნდა გმინავდენ.

თქმულიდან ერთი მაინც უდაოა ამ ხნობით: კომპარტიის შიგნით გაჩაღებულ ბრძოლას ეს ძირითადი წინააღმდეგობა უძევს სარჩულად, კაპიტულაცია ხვავივით მოწოლილ ეკონომიურ მოთხოვნილებათა წინაშე, ან ჯანყი მათ წინააღმდეგ. პირველ მიდრეკილებას თითქოს მართველი წრე გამოხატავს მეორეს-ოპოზიცია. ბევრია ამის ნიშნები, რომ ბრძოლა მათ შორის უმაღლეს საფეხურს აღწევს. ტროცკის უკანასკნელი გამოსვლა კომინტერნის პრეზიდიუმში, მაგ., ღირს-შესანიშნავია ამ მხრივ. ყველაფერი შეგიძლიათ უსაყვედუროთ ტროცკის, გარდა სიმამაცისა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მან დაუზოგველათ ამხილა კოემლის დღევანდელი სტუმრები და საჯაროთ გადაუდგა მათ დისციპლინას. ცხადია, ის მოელის გამოძახილს პარტიულ წრეებში, რომელმაც, ვინ იცის, იქნება ჯარის და მუშათა ფართე მასების გარევაც კი გამოიწვიოს.

პოლიტბიუროც გადამწყვეტ ნაბიჯს იღებს. მისი ბრძანებით, ტროცკი კომინტერნის ეგზეკუტივიდან განდევნეს. ამ რიგათ, ოქტომბრის მეორე «გმირი» ლენინის შემდეგ, ათი წლის თავზე გამართულ ზეიმის გარეთ რჩება! ამბობენ, უკანასკნელი სიტყვა კომპარტიის ყრილობას ეკუთვნისო. საეჭვოა, რეზოლიუციებს დასჯერდენ, მოსალოდნელია, კიდევ დეკემბრამდე—დროო ყრილობისა—არა ჩვეულებრივი ამბები დატრიალდეს.

ამ ამბების მოლოდინში ქართველ და სხვა ჩაგრულ ერთა წინაშე ისმის ერთად ერთი ამოცანა: არ გაუშვანხელსაყრელი მომენტი დამოუკიდებლობის აღსადგენათ. ამისათვის საჭიროა რაც შეიძლება მეტი სიფხიზლე, მეტი გამჭრიახობა, მეტი სიმტკიცე. თუ რადისმე აუცილებელი იყო ერთი მთლიანი ფრონტი—ეს სწორედ დღეს; მომაკვდინებელ დანაშაულს ჩადის ის, ვინც მას ებრძვის ან მის გარეთ დგება. იგივე უნდა ითქვას კავკასიის და საერთოდ ჩაგრულ ერთა მთლიან ფრონტზე. მტერმა ვერ უნდა შესძლოს მათი ცალ-ცალკე დამარცხება, როგორც ეს 1920-21 წ. წ. მოხდა. მას უნდა წაერთვას იმის საშუალებაც, რომ თაოსნობა ხელთ იგდოს, ე. ი. აიძულოს ჩაგრული ერები უდროოთ გამოვიდენ ბრძოლის ველზედ და სისხლში ჩაახრჩოს მათი მომავალი.

დიდია ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე. განვლილი საშინელი წლები და მიღებული გამოცდილება, აგრეთვე საერთაშორისო ვითარების უკეთ ცოდნა—საკმაო თავდებია, რომ ისინი შესძლებენ ამ გადატეხვის ხანაში პირნათლათ შეასრულონ მამულიშვილური მოვალეობა.

კიდევ რაკოვსკი.

მოსკოვის ელჩი რაკოვსკი ნამდვილ ბესტშია, მას თავი ვერ გამოუყვია გარეთ, მთელი პრესა ამხედრებული ჰყავს, ლანძღავენ, ეუბნებიან—წადი, გადაიკარგე აქედანო. ან რა უნდა გააკეთოს აქ, როცა მთავრობა, რომლის წინაშე ის წარმოუგზავნიათ, თვეზე მეტია არ იღებს, შეწყვიტა ყოველივე დამოკიდებულება მასთან. ადამიანი, რომელიც ჩვენს შვილებს სამშობლოს ღალატზე აქეზებს, ციხეში უნდა იჯდეს, არა თუ კიდევ წარუდგეს ჩვენს მთავრობას, ან რესპუბლიკის პრეზიდენტსო—ამბობენ ფრანგები.

ნამდვილი ტრაღი-კომიკურია რაკოვსკის მდგომარეობა. ის დიდის ხნით ადრე განშორდებოდა პარიზის არემარეს. მაგრამ რა ჰქნას, როცა მოსკოვი არ უბრძანებს ამას. ბრიანმა ჯერ თავაზიანათ, არაოფიციალურათ ანიშნა მოსკოვს მისი ელჩის უკან გაწვევა, და, როცა ამან არ გასჭრა, ეხლა წერილობით და ოფიციალურათ მოითხოვს იმასვე. მაშასადამე, კითხვა გადაჭრილია, უკან დახევა—შეუძლებელი. თუ კიდევ იყო რამე ყოყმანი საფრანგეთის მთავრობაში, ჩიჩერინის უკმეხი საქციელის შემდეგ ესეც გაქრა, და ბრიანის უკანასკნელი ნოტა მან ერთხმათ მოიწონა. მართლაც, ჩიჩერინი ბრძანებდა ერთ ინტერვიუში, რაკოვსკის არ დაუკარგავს ჩემი ნდობა და პარიზში დარჩებაო. მისთვის ჯერ კიდევ ვერ უსწავლებიათ მეფის დროის სპეცებს, რომ ელჩს ეჭვერება აგრეთვე იმ მთავრობის ნდობა, რომლის წინაშე ის დანიშნულია, და იმ შემთხვევაში, როცა ეს არ არის, მისი გაწვევა უმოტივოთაც ხდება.

როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, ჯერ კიდევ არ არის მოსკოვის პასუხი. მას სხვა გზა არ დარჩენია. ან უნდა გაიწვიოს რაკოვსკი, ან სულაც გასწყვიტოს დამოკიდებულება საფრანგეთთან. «მუშურ-გლეხურ მთავრობას» სწორეთ ეს მეორე გამოსავალი უფრო შეფერის, თორემ აბა როგორ უნდა მოითმინოს მან ასეთი სილა ბურჟუაზიულ მთავრობისაგან! აქეთკენ აქეზებს მას ტროცკის ოპოზიციაც, რომელიც ისედაც თავს ესხმის სტალინის ჯგუფს, დათმობებს აკეთებ და რევოლიუციას ღალატობო. მაგრამ, ცხადია, პოლიტბიუროს არ შესწევს არც გამბედაობა, არც შნო ამისათვის, საფრანგეთისაგან ჩამოშორება ინგლისის შემდეგ წინდაწინვე სცემს მას თავზარს. ეს ემზგავსებოდა იმ ქათმის საქციელს, რომელმაც ჩხრიკა, ჩხრიკა და თავისი დასაკლავი დანა გამოსჩხრიკა.

ასე თუ ისე, ერთი აშკარაა: პარიზშიც გამოეცალათ მოსკოველებს ფეხიდან ნიადაგი და არ არის იმედი, რომ ოდესმე გამოასწორონ წამხთარი საქმე. *)

*) გაზეთი შეკრული იყო, როცა ოფიციალური ცნობა მოვიდა: საბჭოთა მთავრობამ გაიწვია უკვე რაკოვსკი.

საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთება.

საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა. «რაკოვსკის საქმე» ამ ახალი ვითარების საბაბია, მიზეზი კი უფრო ღრმაა. მიზანიც უფრო ფართოა, ვინემ რაკოვსკის გაძევება.

«Le temps»-ის ორი ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა დოკუმენტი, რომელიც ნათელყოფს ამ საქმის ნამდვილ სახეს. ეს დოკუმენტი პასუხია რაკოვსკის უკანასკნელ წინადადებაზე და იკუთვნის რუსეთისაგან დაზარალებულ საფრანგეთის მოქალაქეთა ინტერესების დამცველ გენერალურ კომისიას. ამ კომისიის ენით ლაპარაკობენ საფრანგეთის ვაჭარ-მრეწველნი, ისინი, ვის ხელშია ნივთიერი ძალა და ვინც დაინტერესებულია რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობით. ამიტომ მისი სიტყვა არის ის კონკრეტიული ჩარჩოები, რომელსაც ვერ გასცილდება საფრანგეთის მთავრობა რუსეთთან ურთიერთობაში.

აი, ამ დოკუმენტის საყურადღებო ადგილები.

აღნიშნულია ის საფეხურები, რომელიც განვლო 1926 წ. ივლისიდან დღემდე საფრანგეთ-რუსეთის დელეგაციების მოლაპარაკებამ შესახებ რუსეთის ვალებისა საფრანგეთის მოქალაქეთადმი და შემდეგ გარკვევით არის წამოყენებული შემდეგი დებულებები:

უცხო ფასიანი ქაღალდების ფრანგ მესაკუთრეთა კრიტიკული სული.

მსოფლიო ომმა ძლიერ დააზარალა უცხო ფასიან ქაღალდების ფრანგი მესაკუთრენი და განუვითარა მათ კრიტიკული სული და გაუძლიერა თვითდაცვის ინსტიქტი. ისინი იოლათ და პასიურათ როდი მიიღებენ წინადადებებს, რომელსაც მათ გაკოტრებული უცხო სახელმწიფოები აძლევენ. როდესაც წინადადებები არ არის ხელსაყრელი, ისინი არჩევენ უცადონ სხვა უფრო დამაკმაყოფილებელ წინადადებებს.

ერთი საზომი ყველასათვის.

ზოგიერთ სახელმწიფოებს სურთ განასხვავონ ფასიან ქაღალდების სხვადასხვა ქვეყნის მესაკუთრენი, უმეტეს შემთხვევაში ფრანგ მესაკუთრეთა საზარალოთ. უკანასკნელთა ვალდებულებაა ასეთ გარემოებას წინააღუდგენ.

რუსეთის წინადადება უარყოფილი იქნება.

ის წინადადებები, რომლებიც დღემდის რუსეთმა გამოაქვეყნა, უეჭველათ უარყოფილი იქნება კრედიტორთა უმრავლესობის მიერ.

წვრილ კრედიტორთა განსაკ. მდგომარეობა.

ფრანგი წვრილი კრედიტორები განსაკუთრებულ მდგომარეობაში არიან. მათ მთელი თავისი გადანახული თანხა რუსეთის ფასიან ქაღალდებში ჩადვეს. დღეს ესენი სულ მშრალზე არიან. მათი მდგომარეობა მძიმეა და თუ მთავრობას სურს მათ სასარგებლოთ ჩაერიოს საქმეში, უმჯობესი იქნება, და ნაკლებ ხარჯებსაც მოითხოვს ეს. სახელმწიფომ პირდაპირ დააკმაყოფილოს ისინი, ვინემ ეს ქნას რუსეთის საშვალებით.

რუსეთს კრედიტები არ მიეცემა.

საბჭოების მთავრობა იჩენს გასაკვირელ უცოდინარობას ფრანგთა ფსიქოლოგიისას. ის ფიქრობს, რომ ფრანგ კრედიტორთა ნაწილობრივი დაკმაყოფილების აღთქმის სამაგიეროთ, საფრანგეთის მთავრობა ხელს შეუწყობს მხოლოთ საბჭოების სასარგებლოთ კრედიტების გაღებას იმ სამრეწველო დაწესებულებათა რეორგანიზაციისათვის, რომელთა თანამესაკუთრენი არიან როგორც ჩვენი თანამემამულენი, ისე ინგლისელები და ბელგიელები, ისე, რომ არ იქნას ანაზღაურებული უკანასკნელთა ზარალი. ეს იქნებოდა შეურაცხყოფა ფრანგ დელეგაციისათვის, რომ გვეფიქრა, ვითომ მას შეუძლია ასეთი რამეს დაშვება.

საექსპორტო კრედიტების გზა.

საბჭოების მთავრობას რამდენჯერმე განუცხადებია საჯაროთ, რომ თუ მას მიეცემოდა კრედიტები, ეს ხელს შეუწყობდა საფრანგეთის მრეწველობის ექსპანსიას. საფრანგეთის მრეწველებს სურთ, რომ კერძო ოფიციალურმა ინიციატივამ ხელი შეუწყოს საექსპორტო კრედიტების განვითარებას, მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ ეს კრედიტები უწინარეს ყოვლისა უნდა გაეხსნას იმ ქვეყნებს, რომლებიც მოგვაწვდიან ბაზარს ისევე ფართოს, და გარანტიებს უფრო მტკიცეს, ვინემ საბჭოთა რუსეთი.

მომავალს უნდა შევხედოთ.

საბჭოთა მთავრობა დაჟინებით თხოულობს კრედიტებს. რომ მან ეს კრედიტები მიიღოს, იმ შემთხვევაში, საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობა რომ გამწვავდეს, როდესაც საფრანგეთ-საბჭოების ხელშეკრულების ასრულებაზე ლაპარაკიც კი აღარ იქნება შესაძლებელი, საბჭოების მთავრობა, გამაგრებული ჩვენი ფინანსიური დახმარებით, დარჩება მოგებული და ფრანგი კრედიტორების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებული.

მდგომარეობა უნდა შეიცვალოს ძირითადათ.

საფრანგეთ-რუსეთის დელეგაციების მოლაპარაკება მიზანს ვერ მიაღწევს, თუ ძირიანათ არ შეიცვალა მისი ხასიათი და თუ ყოველივე დისკუსია კრედიტების შესახებ არ გადიდო ვალების საკითხის საერთო მოგვარებამდე.

ერთად ერთი გზა.

უკანასკნელ წელს ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სეპარატიულათ შეუძლებელია საბჭოების მთავრობასთან ვალების საკითხის მოგვარება. ამიტომ ჩვენ გავაბით მტკიცე კავშირი უცხოელ კრედიტორთა ასოციაციებთან. ჩვენ მათთან ერთად შევიმუშავეთ საერთო მეთოდი, თუ როგორ უნდა გავანაღდოთ რუსეთის ვალდებულებანი ჩვენდამი.

ასეთი ენით ლაპარაკობენ ისინი, ვის ხელშიცაა ნივთიერი ძლიერება, ვინც საქმით იწყებს და საქმით ათავებს. არავითარი კრედიტები საბჭოებს, ინტერნაციონალური გზა, ერთი ფრონტი მათ წინააღმდეგ—აი მათი სიტყვა და ეს სიტყვა იგივე საქმე იქნება ხვალ. ასე ლაპარაკობენ და ასე იმოქმედებენ კრედიტორები, მაგრამ დებიტორი რომ კოტრია?—საბჭოთა მთავრობა კოტრია, მაგრამ რუსეთი მდიდარია და აი იქ გაინაღდებენ მევალეები თავისას. თუ რა გზით, რა საშვალებით—ეს ზოგადათ საქმეში ჩახედულისთვის ნათელია. ნათელია მისთვის ისიც—თუ რა შედეგები მოყვება რუსეთისათვის ასე «საკითხის გადაჭრას».

ილია ნუცუბიძე.

საქართველოს მეზობლიურ ცხოვრებიდან.

საქართველოს დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობას ზოგჯერ თვით ბოლშევიკების გამოცემანიც საკმაოდ ნათლად გამოხატავენ და შეიძლება კიდევ უფრო ნათლათ გამოჩენილიყო ეს მდგომარეობა მათი ნაწერებიდან, რომ სულ ცოტაოდენი წერის თავისუფლება, თუნდაც თვითონ ბოლშევიკებისთვის, არსებობდეს საბჭოთა კავშირში. მე არ ვფიქრობ, რომ ზოგიერთი ბოლშევიკი მაინც არ ამჩნევდეს იმ წინააღმდეგობას, რომელიც დამკვიდრდა საბჭოთა კავშირში—სინამდვილეში არსებულ მდგომარეობასა და ოფიციალურათ მოწონებულ ლოზუნგებს შორის.

მაგრამ თავისუფალი სიტყვა და აზრი მხოლოდ საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ არსებობს და, როცა ამ თავისუფლებას ვინმე სარგებლობს ხოლმე თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამის გასაშუქებლათ, საბჭოთა პრესა ამას შემდეგი არგუმენტებით უმასპინძლდება: ქვეყნის მტერნი და ორგულნი არიან, უხარიათ და ამიტომ ეჩვენებათ სივაგლახე საბჭოთა წესწყობილების; უგნურებია და ვერ ამჩნევენ იმ პროგრესს, რომელიც საბჭოთა კავშირში ხდება; უჯარო გენერლებია, სწყურიათ ხელის უფლება და ამიტომ ხალხი შეცდომაში უნდათ შეიყვანონ!..

მერე ასეთი გინება და ცილისწამება განა არგუმენტია? სიცრუის პროპაგანდა დი სიტყვების კორიანტელი შესცვლის განა საქმის ვითარებას?

თუ ფაკტები, თუ თვით ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებული ფაკტებიც უარსყოფენ იმ სიტყვებს, იმ ილიუზიას, რომლითაც საბჭოთა პრესა აბრუებს თავის მკითხველებს, სად უნდა აღინიშნოს ეს წინააღმდეგობა, თუ არა თავისუფალ პრესაში, რომელიც მხოლოდ საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარედ არსებობს? ხოლო, სამწუხაროთ, ამ პრესასაც ის დიდი ნაკლი აქვს, რომ იგი ძალიან დაგვიანებით წვდება მკითხველს და ისიც მკითხველთა ძალიან მცირე ნაწილს.

რატომ არის, რომ ხალხი. საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა ძალიან მცირე გამონაკლისით, უკმაყოფილოა საბჭოთა რეჟიმის და მას არ ურიგდება, თუ ხალხის კეთილდღეობა იქ მართლაც უზრუნველყოფილია? და თუ ხალხი კმაყოფილია, რათ გრძელდება წლობით ეს უსაშველო დევნა, გადასახლება, ციხე, დახვრეტა? ნუ თუ ხალხის უკმაყოფილების სათავე მხოლოდ და მხოლოდ ემიგრანტების ზღაპრები და «მენშევიკების» ოინებია, ნუ თუ?

ჩვენს წინ დევს საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის საგეგმო კომისიის მიერ გამოცემული წიგნი: «საქართველოს სახალხო მეურნეობა. 1924-25 წ.» იქ ბევრი მასალაა თავმოყრილი ბოლშევიკების საქართველოში საქმიანობის დასახასიათებლად. და აი ჩვენ გვინდა ამ მასალის მიხედვით მკითხველის ყურადღება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის ზოგიერთ მხარეებზე შევაჩეროთ და, თუ თვით ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებული ცნობები სწორია და ობიექტიური, ამ შემთხვევაში იმას დავჯერდეთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მდგომარეობის გასაცნობათ.

1.

საერთო სურათი.

თუმცა საქართველოს ჯერ კიდევ «სოციალისტურ» რესპუბლიკას უწოდებენ. მაგრამ მისი ეკონომიური ცხოვრების წესები ბევრით არაფრით განსხვავდება იმ წესებიდან, რომელიც არსებობდა სხვა ქვეყნებში კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების პირველ ხანაში. მოაცილეთ საბჭოთა მიერ გამოცემულ ეკონიმიურ ხასიათის სტატისტიკურ წიგნებს იარლიკი «ს. ს. რ.», ყურადღებას ნუ მიაქცევთ იქ დაგროვილ სიტყვიერებას და მშრალი მასალა თქვენ ამაში დაგარწმუნებთ.

«სოციალისტურ» ქვეყანაში «ინდუსტრიალიზაციაზე» უფრო დიდი ადგილი წვრილსა და შინა-მრეწველობას უჭირავს; აქაც საჭიროებენ ძალიან და დიდ ძებნაში არიან ერთხელ მათ მიერვე ათვალწუნებული კაპიტალის; აქაც არსებობს ვაჭრობა, ბანკები, დაქირავებული შრომა და იმის ექსპლოატაცია, უმუშევრობა და ყოველივე ეს იმავე წესებით, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ ქვეყნებში ძალიან ჩამორჩენილში.

პერსონაჟებია მხოლოდ შეცვლილი. უდიდესი კაპიტალისტი, მრეწველი, ვაჭარი და ბანკირი არის ხელისუფლება და იგი ითვისებს ყოველგვარ წესებს პირველყოფილი კაპიტალისტის, მრეწველის, ვაჭრის, ბანკირისას; მაგრამ ითვისებს ძალიან ტლანქად და უხეიროდ.

ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: საერთო ჯამი ეკონომიურ ცხოვრების ზოგიერთ სფეროში ახლა თითქოს მეტია, ვინემ ამ 6-7 წლის წინათ. სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგის, მრეწველობის, აღებ-მიცემობის აბსოლიუტური ციფრები ახლა უფრო დიდია (თუმცა ომის წინ დროისას ვერ აღწევენ) და ეს «დიდი ციფრები» საბჭოთა პრესაში ხშირად ქვეყნდება კიდეც შთაბეჭდილების მოსახდენათ. მაგრამ როცა ამ «დიდ ციფრების» წონას, შინაარსსა და რეალურ შედეგებს დააკვირდებით, ქარწყლდება შთაბეჭდილება, სურათი იცვლება. რატომ?

ქართველი ერი, როგორც ცოცხალი არსება, იბრძვის არსებობისთვის, მოქმედობს გამუდმებით, და ეს მისი მოქმედება შეუძლებელია წლიდან-წლამდის ერთ დონეზე გაყინული ყო; ხოლო ამ მის მუშაობას და მოქმედებას იმდენი არა ბუნებრივი დაბრკოლებანი, ისეთი სალტე არსებული რეჟიმისა გარს არტყია, რომ შედეგები ამ მოქმედების მისი მოთხოვნილებებს რეალურად, და შედარებით ცოტათ თუ ბევრათ ნორმალურ პირობებთან, სრულებით ვერ აკმაყოფილებს აქ არის გასაღები წინააღმდეგობის იმ «დიდ ციფრებსა», რომელიც ზოგჯერ მართალია, და იმ სინამდვილეს შორის, რომელშიაც ხალხი, ძალიან მცირე გამონაკლისით, საშინელ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის.

სოფლის მოსახლეობას, რომელიც საქართველოს მთელი მოსახლეობის 80 პრ. შეადგენს, არ ყოფნის სახნავ-სათესი მიწა და ამიტომ სოფლის მოსახლეობაში არა ჩვეულებრივი უმუშევრობაა გაჩეფებული. ამის შესახებ ახლა ბევრს ლაპარაკობენ ბოლშევიკები. საქართველო, რუსეთს რომ თავი გავანებოთ, თავის მეზობლებზე გაცილებით უფრო ღარიბია სახნავ-სათესი მიწით, და ამავე დროს იგი, როგორც მოგეხსენებათ, იძულებული იყო მთელი საბჭოთა კავშირის მიზნებისთვის და მოსკოვის მთავრობის კარნახით თავისი ისედაც მცირე მიწა-წყლის ნაწილი სხვებისთვის გადაეცა.

ერთ მეურნეობაზე მოდის «კულტურული მიწები და კარმიდამო» (დესეტინებში):

	სულ:	მათ შორის სახნავი:
აზერბეიჯანში	5,6	5,0
სომხეთში	3,2	3,0
საქართველოში	2,6	2,0

ამნაირათ საქართველოში თითო მეურნეობაზე (4-5 სულზე) მოდის სახნავ-სათესი მიწა 2 დესეტ., ე. ი. ჩვენ მეზობლებთან შედარებით ჩვენში ასეთი მდგომარეობაა: «სახნავი მიწით სომხის გლეხი 50 პროც. მეტათ და აზერბეიჯანის მეურნე-კი 150 პროც. უკეთ არის უზრუნველყოფილი, ვიდრე საქართველოს გლეხი» *).

ხვნა-თესვის შემდეგ უდიდეს როლს ჩვენი სოფლის მეურნეობაში თამაშობს მესაქონლეობა; ხოლო «საქონლის საკვებად გამოსადეგ სივრცესაც საქართველოში უფრო ნაკლები წონა აქვს (23,3 პროც.), ვიდრე სომხეთში (29 პროც.) ან უფრო მეტათ აზერბეიჯანში (39,4 პროც.)».

რა უშველის ჩვენი სოფლის მოსახლეობის გასაჭირს?

«საქართველოს მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ხაზათ აღნიშნულ პირობებში უნდა ჩათვლილი იქმნას ადგილობრივი სამრეწველო ძალების განვითარება, რომ მასში ჩააბას სოფლის ზედმეტი მოსახლეობა, ხოლო მეორე მხრით თვით სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია»-ო, ვკითხულობთ «საგეგმო კომისიის» გამოცემაში. სამართლიანი შენიშვნაა. მაგრამ ჰქმნის ასეთ პირობებს საბჭოთა ხელისუფლება?

რაც შეეხება მრეწველობას, იგი არ იძლევა იმედს, რომ არსებულ პირობებში შესძლებს ახალი მუშახელის ჩიზიდვას, რადგან: «თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი წარმოების თბობითი ენერგიის გენერატორები და აღმასრულებელი მექანიზმი უკვე გაცვეთილია და მოქმედებას მხოლოდ შემცირებული დატვირთვით განაგრძობენ, მაშინ ნათელი გახდება, რომ ამ ჟამად მომქმედ სამრეწველო დაწესებულებათა პროდუქციის ზრდამ უკვე მიაღწია ერთგვარ საზღვარს, რომლის იქით მისი გაფართოება არსებულ გამართულობით შეუძლებელია».

მაშ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისთვის მაინც თუ არის შესაფერი ზომები მიღებული?

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, როგორც მოგეხსენებათ, მოითხოვს ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შეტანას სოფლის მეურნეობაში, ეს კი—კაპიტალის, კრედიტის, 1925 წ. 1 ოქტომბრისთვის «არსებულ სესხის და განაღდების საერთო ნაშთის განაწილება სახალხო მეურნეობის ცალ-ცალკე დარგების მიხედვით» შემდეგია (ათას მან.):

მრეწველობა	590,8	ანუ	12,6 პროც.
ტრანსპორტი	182,7	,,	3,9 ,,
სოფლის მეურნეობა	953,5	,,	20,3 ,,
ვაჭრობა	1.206,8	,,	25,7 ,,
საკრედ. დაწეს.	1.093,3	,,	23,3 ,,
კომუნ. მეურნ. და საბ. აღმშ.	573,0	,,	12,2 ,,
დანარჩენი	92,6	,,	2,0 ,,
სულ	4.692,7	,,	100 ,,

ამნაირათ, სოფლის მეურნეობა, რომელიც მთელი სახალხო შემოსავლის 69,8 პროც. იძლევა, მთელ სახალხო მეურნეობაზე გაცემულ სესხის მხოლოდ 20,3 პროცენტს სარგებლობს. ამ ციფრის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისთვის კიდევ უფრო გასაგები რომ იქმნეს, უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ამა თუ იმ დარგისთვის გაცემულ სესხის დიდი ნაწილი ისევ სახელმწიფო დაწესებულებებს მიაქვთ და სულ მცირე—«კერძო კლიენტურას». ასე, «ცალ-ცალკე კლიენტთა ჯგუფის მიხედვით დავალიანების საერთო ნაშთის მონაწილეობა შემდეგია» (პროცენტებში იმავე 1 ოქტ. 1925 წ.):

სახელმწიფო ორგანიზაც.	36,8 პროც.
კოოპერაცია	26,2 ,,
კერძო კლიენტურა	7,4 ,,
კომუნ. მეურ. და საბ. აღმშენ.	12,2 ,,
საკრედიტო დაწესებულებანი	17,4 ,,

კერძო კლიენტურის (როგორც სოფლ. მეურნის, ისე ვაჭარ-მრეწველის და სხვ.) მონაწილეობა კრედიტის საერთო ჯამში უდრის მხოლოდ 7,4 პროც. და, მაშასადამე, გაცემულ კრედიტის მხოლოდ ამ წილში იღებს მონაწილეობას სოფლის კერძო მეურნეც. ეს კი, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს იმის დღევანდელ საჭიროებასაც კრედიტში და ამიტომ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე ზრუნვაც არ სჩანს რომ რეალურად სადღეისო საკითხათ იყოს მიჩნეული.

წინანდელ წლებთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო საგნების დამზადება გაძლიერებულა და ეს ზრდა იმითაც ყოფილა გამოწვეული (ამას ახლა აღარ მალავენ), რომ მოუხსნიათ «ზოგიერთ სას.-სამეურნეო საგნებზე დამზადების მონოპოლია». გააძლიერებდა თუ არა სახალხო მეურნეობის სხვა სფეროებსაც (მაგ., საგარეო ვაჭრობას) «მოპოპოლიის მოხსნა», ამას ავტორები ვეღარ გვეუბნებიან და... ნურც ჩვენ მოვსთხოვთ.

მრეწველობა და ვაჭრობა უმთავრესად სახელმწიფოს ხელშია. მრეწველობის მონაწილეობა რესპუბლიკის საერთო სახალხო შემოსავალში მხოლოდ 16,5 პროც. შეადგენს; ვაჭრობის—7,6 პროც.

«შრომის უნარიან მოსახლეობის 100 სულიდან მრეწველობაში მუშაობს 3 კაცზე ნაკლები (2,9 პრ.)» და ამავე დროს, როგორც წინათ მოვიხსენიეთ, მრეწველობამ «უკვე მიაღწია ერთგვარ საზღვარს».

მრეწველობის მამოძრავებელი ენერგიის დიდი ნაწილი სახელმწიფოს ხელშია, სახელდობ «ძალოვნების»—76,2 პროც.; იმავე დროს სახელმწიფოს სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობს მთელ მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-ხელის მხოლოდ 33,9 პრ.; კოოპერაციას ეკუთვნის «ძალოვნების»—2,6 პრ. და მუშა-ხელის—1,5 პროც.; კერძო მესაკუთრეთა ხელშია საერთო «ძალოვნების» 21,2 პრ., ხოლო მთელ მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-ხელის კი—64,6 პრ.

ეს გარემოება ორი რისიმე მაჩვენებელია: ერთი იმის, რომ ჩვენი ქვეყნის მრეწველობა უმთავრესად წვრილი მრეწველობაა; მეორე იმის, რაც ფრიად საყურადღებოა, რომ «სოციალისტურ» სახელმწიფოში მუშა-ხელის უმრავლესობა ჩაბმულია კერძო მრეწველობაში და ამნაირათ მუშათა უმრავლესობის მდგომარეობა დამოკიდებულია კერძო მრეწველობის მდგომარეობაზე, რომელიც სახელმწიფოს მიჩნეული ყავს «გვრათ» და რომელიც მოკლებულია კანონის მფარველობას, კრედიტს და მრავალგვარ უპირატესობას სახელმწიფო მრეწველობასთან შედარებით, სადაც მუშა-ხელის მხოლოდ 33,9 პრ. ჩაბმული და რომლის შემდეგი განვითარება არსებულ პირობებში თვით საბჭოთა ხელისუფლებას ძალიან აფიქრებს.

დაახლოებით ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება შინაური ვაჭრობის საქმე (საგარეო ვაჭრობა ხომ სულ სახელმწიფოს ხელშია): სავაჭრო ქსელის უმეტესი ნაწილი—87,9 პროც. კერძო ვაჭრობის ხელშია; კოოპერატიული ვაჭრობის ქსელი—9,5 პრ. შეადგენს მთელი სავაჭრო ქსელისას და სახელმწიფო ვაჭრობის კი—2,6 პრ. მართალია, საქონლის ბრუნვა ყველაზე მეტია სახელმწიფო ვაჭრობაში—47,3 პრ., შემდეგ კოოპერატივებში—29,0 პრ. და ყველაზე მცირე კერძოში—23,7 პრ.; მაგრამ სიფართოვე კერძო ვაჭრობის ქსელის განა მაჩვენებელი არ არის იმის, თუ რამდენათ სუბსიდიებით და მზრუნველობით აღსავსე სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობა საბჭოთა პირობებში დაშორებულია ხალხის მასასთან? რამდენათ კერძო ვაჭრობა დაახლოებულია საზოგადოების ფართო წრეებთან, ეს იქედან სჩანს, სხვათა შორის, რომ, მაგალითად, მუშები—1926 წლის თებერვლის გამოკვლევის მიხედვით—ხანგაგის უდიდეს ნაწილს (ზოგ შემთხვევაში 75,2 პრ.) ყიდულობენ კერძო სავაჭროებში და უფრო მცირე ნაწილს სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებში, რასაც ჩვენ ქვევით დავინახავთ (იხ. «ნაროდნოე ხოზიაისტვო ზაკავკაზია» 1927 წ.). და ასეთ პირობებში კერძო ვაჭრობის ხელოვნურათ ჩაკვლა შეიძლება სასარგებლო იყოს «პრინციპისთვის», მაგრამ განა ძალიან საზარალო არ არის სახალხო მეურნეობისთვის საზოგადოთ?

კიდევ უფრო დამახასიათებელი ის არის, რომ თვით სახელმწიფო ვაჭრობაში საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციები ძალიან მცირე როლს თამაშობენ და უდიდესი ადგილი საქართველოს შინაურ ვაჭრობაში საკავშირო (სრულიად რუსეთის) ორგანიზაციებს უჭირავს და წინანდელ წლებთან შედარებით ეს მონაწილეობა კი არ კლებულობს, არამედ წინაღმდეგ: «საკავშირო ორგანიზაციათა მონაწილეობა იზრდება, ხოლო საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ორგანიზაციათა კლებულობს». ამას ამბობს «საგეგმო კომისიის» გამოცემა და ამის დასამტკიცებლათ იქ მოყვანილია შემდეგი ცნობები საანგარიშო წლის მეორე ნახევრის განმავლობაში სახელმწიფო ორგანოთა ვაჭრობის შესახებ:

1. საქართველოს დაწესებულებანი—10.027.000 მან. ანუ 27,1 პრ.
2. ა.-კ. სხვა რესპ. და გაერ. დაწეს.— 1.979.000 მან. ,, 5,3 ,,
3. საკავშ. და სხვა რესპუბ. დაწეს.—25.073.000 მან. ,, 67,6 ,,

აქედან ცხადია ისიც, რომ სახელმწიფო ვაჭრობას ძალიან დიდი მოგებაც რომ მოჰქონდეს (ყოველ შემთხვევაში საქონელს ძალიან ძვირათ ყიდიან), ეს მოგება საქართველოში არ დარჩება; მთელი სახელმწიფო ვაჭრობის საერთო შემოსავალიდან საქართველოში, ვაჭრობაში მონაწილეობის მიხედვით, დარჩება: საქართველოს ხაზინას 27,1 პრ., ამ.-კავკ. გაერთიანებულ დაწესებულებებს—5,3 პრ. და რუსეთის ცენტრალურ თუ ცალკე რესპუბლიკათა ხაზინას—67,6 პრ.

რა მოიტანა რუსეთმა საქართველოში სახალხო მეურნეობისთვის დასახმარებლათ?

რა მოაქვს იმას სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, ამას შემდეგში დავინახავთ; საგარეო ვაჭრობის განხილვა დაგვანახებს აგრეთვე რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას; ახლა კი მოკლეთ შევეხებით მხოლოდ ფინანსიურ საკითხს, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ანუ კრედიტს, რამდენათ ამას საქართველოში მომქმედ ბანკების ბალანსი გამოხატავს.

საქართველოში საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებენ, როგორც ადგილობრივი, ისე და უფრო რუსეთის ბანკები. ყველა ბანკების საერთო ბალანსი უდრის (1 ოქტომ. 1925 წ.) 64.325 ათას მანეთს; აქედან საქართველოს ბანკების ბალანსი შეადგენს 18.464 ათას მანეთს, ხოლო რუსეთის ბანკების (ამაში შედის ერთი ამიერ-კავკასიის ბანკიც)—45.961 ათას მანეთს. თუ როგორ არის განაწილებული მეურნეობის სხვადასხვა დარგში ამ ბანკების მიერ გაცემული სესხი, ამას ჩვენ აღარ განვიმეორებთ, რადგან იგი უკვე ზევით მოვიყვანეთ; ნათქვამის შემდეგ საჭიროა მხოლოდ გავიხსენოთ, რომ იმ უდიდეს ნორმაში, რომლითაც სესხი სახელმწიფო დაწესებულებებს ეძლევა, უდიდესი წილიც ალბათ იმ არა ქართულ დაწესებულებების იქმნება, რომელნიც უმთავრესად ვაჭრობენ ჩვენში.

რუსეთის ბანკების კაპიტალი, ე. ი. რუსეთიდან საწარმოოთ ჩამოტანილი თანხა, უდრის 13.089 ათას მან. (ხოლო ამაში შედის ამიერ-კავკასიის ბანკის კაპიტალიც); ამავე დროს ამ ბანკების ანაბარი და სახელდახელო ანგარიშზე შეტანილი თანხა უდრის (ამიერ-კავკასიის ბანკითვე)—9.686 ათას მანეთს. ამნაირათ რუსეთის ბანკების კაპიტალი ამიერ-კავკასიის ბანკთან ერთად ბევრით არ აღემატება (2.403 ათას მან.) იმ თანხას, რომელიც მათ საკუთარ ოპერაციებისთვის ადგილობრივ შეუგროვებიათ. თუ გავიხსენებთ, რომ მოგებას, როგორც ჩამოტანილ, ისე ადგილობრივათ შეგროვილ თანხების წარმოებიდან (ოპერაციებიდან), ეს ბანკები რუსეთში გადაზიდავენ, ცხადია, რუსეთის ბანკების ოპერაციები ჩვენში უფრო სასარგებლოა თვით ამ ბანკებისთვის, ვიდრე საქართველოსთვის. ადგილობრივ ბანკებს საქართველოში შედარებით ასეთი ძლიერი კონკურენტები რომ არ ყავდესთ, მაშინ სახელდახელო ანგარიშების და ანაბარი თანხის რაოდენობა საქართველოს ბანკებში მეტი იქნებოდა და იმის დატრიალებიდან შემოსული მოგებაც საქართველოში დარჩებოდა. რომ რუსეთის ბანკებს სრულებითაც არა აქვთ აზრათ (და ალბათ ამის არც საშუალება აქვთ) საქართველოში კაპიტალის შემოტანის, არამედ მხოლოდ საქართველოშივე დაგროვებულ თანხებით ოპერაციების წარმოება და მოგების რუსეთში გადატანა, ეს ნათლად სჩანს იმიდანაც, რომ 1 ოქტ. 1926 წ. მათი კაპიტალი უკვე მხოლოდ 2 ათას მანეთს უდრის, ხოლო ანაბარი და სახელდახელო ანგარიშები—8.719 ათას მანეთს (იხ. «ნაროდნოე ხოზიაისტვო ზაკავკაზია» 1927. ცსუ.).

საქართველოს წარმოება დაწესებულებებში 1 სექტ. 1925 წ. ჩაბმული ყოფილა 116.674 მუშა ხელი; მათი საშუალო თვიური ხელფასი უდრიდა 46,32 ჩერვ. მან. და 20,99 საბიუჯ. მანეთს. «რეალურ მხიშვნელობის მუშის ხელფასიო, ვკითხულობთ «საგეგმო კომისიის» გამოცემაში, უფრო ნაკლებ იზრდება სასოფლო-სამეურნეო საგნების გაძვირების გამო, ვიდრე ნომინალით». საბჭოთა სტატისტიკოსებს გამოანგარიშებული ჰქონიათ, რომ «ერთი ოჯახის შესანახავათ მინიმალური თანხა უდრის 59 მან. 65 კაპ. და იმავე გამოკვლევით მუშის ფაქტიური ბიუჯეტი შეადგენს 69 მან. 32 კაპ. (ვალის და დუქნებიდან წაღებული ნისიის გამოკლებით)». ასეთი ნაპრალი არსებობს მუშის ხელფასსა და მისი რეალურ საჭიროებათა შორის. წინათ, როგორც ვიცით, ამ დანაკლისს იგი ავსებდა უმთავრესად შინაურ საგნების გაყიდვით, ახლა კი, როცა ეს საგნებიც გამოლილია, ალბათ... შიმშილით! ამ საკითხს ჩვენ კიდევ შევეხებით.

«რესპუბლიკანურ საშუამავლო ბიუროების და საკორესპოდენტო პუნკტების მიერ უმუშევრობის აღრიცხვა ვერ იძლევა სწორ წარმოდგენას რესპუბლიკაში ფაკტიურ უმუშევრობის შესახებ, რადგან სამუშაოზე გასულ მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასები ამ ორგანოთა დავიწყების გარეშე რჩება»-ო. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ «ამ ორგანოთა დავიწყების გარეშე რჩება» უფრო უმუშევართა რიცხვი, რადგან საზოგადოთ ყველა უმუშევარი როდი ცხადდება ხოლმე ბიუროებში ჩასაწერათ, ხოლო საბჭოთა პირობებში ხომ ამ «ჩაწერისთვის» ზოგი განსაკუთრებული თვისებებიც არის საჭირო... მიუხედავათ ამისა, უმუშევრობის საკითხი ისეც, როგორც იგი «აღრიცხულია», ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს.

საკვირველი ამბავია: როცა ბოლშევიკები საერთო ფრაზებით ლაპარაკობენ, მუდამ იმას იმეორებენ ხოლმე, რომ სახალხო მეურნეობა ახლა გაცილებით «უფრო აყვავებულია», ვინემ დამოუკიდებლობის დროს იყოვო; მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის

*) აქაც და შემდეგშიც, სადაც წყარო არ იქმნება დასახელებული, ფრჩხილებში მოყვანილი წინადადებანი, აგრედვე ყველა ციბრებიც, აღნიშნულ წიგნიდან არის ამოღებული.

ბის დროს (ამ სიტყვის ხმარებას ბოლშევიკები ერიდებიან) უმუშევრობის საკითხი იქ მწვავეთ არც ერთხელ არ მდგარა, თუმცა მაშინ მთელი ქართველობა საქართველოში იყრიდა თავს; ახლა კი იგი ძალიან მწვავეთ სდგას, თუმცა საქართველოს სოფლის მოსახლეობა რესპუბლიკის საზღვარ-გარეთაც გადის თურმე სამუშაოდ და «ცნობილია რომ მათი რიცხვი საგრძნობ დიდია, მაგალ., შავი ზღვის ნავთსადგურები, რკინის გზის ხაზზე და სხვაგან»-ო. ახლა რამდენია კიდევ ნებით თუ უნებლიეთ გადასახლებული რუსეთში და ემიგრაციაში?

უმუშავრობის უმთავრეს მიზეზათ ასახელებენ სახნავ-სათეს მიწის სივიწროვეს, მოსახლეობის ზრდას და იმიგრაციას. ამის მიზეზი, ცხადია, არის აგრეთვე სახალხო მეურნეობის ჩამორჩენა საზოგადოთ. საინტერესოა უმუშევრობის ეს ახალი მიზეზი—იმიგრაცია; მით უფრო საინტერესოა იგი, რომ აქამდის ამას ბოლშევიკები გადაჭრით უარსყოფდენ, ახლა კი გვატყობინებენ: «მნიშვნელოვანი როლი მუშა ხელის რეზერვების დაგროვების საქმეში ითამაშა აგრეთვე იმიგრაციამ»-ო!

ამომწურველი ცნობები იმიგრაციის შესახებ მათ არ ჰქონიათ, მაგრამ ის, რაც ჰქონიათ, მაინც მეტად საგულისხმოა. მაგალითად: «ტფილისის ბირჟის ცნობების მიხედვით უმუშევართა შემადგენლობა ქვეყნების მიხედვით შემდეგია პროცენტებში»:

წლები	საქარ-დან	სომხ-დან	რუსეთიდან	დან. ქვეყ-დან
1921	61	20	14	5
1922	64	12	18	6
1923	65	12	15	8

უმუშავართა პროცენტი, როგორც ხედავთ, საქართველოდან ტფილისში ჩამოსულთა შორის მატულობს, სომხეთიდან და რუსეთიდან ჩამოსულთა შორის კი კლებულობს. საქართველოს დედა-ქალაქში და ამასთანავე იმის სამეურნეო ცენტრში ჩამოსულთა და უმუშევართა დარჩენილთა შორის შეადგენენ ჩამოსულნი: საქართველოდან—65 პრ., სომხეთიდან—12 პრ. და რუსეთიდან—15 პრ.

ჩვენ არ ვიცით როგორი მდგომარეობაა სხვა ქალაქებში, მაგ., ბათომში, ფოთში და სხვ.; მაგრამ, «არა ნაკლები მაჩვენებელიაო, გვატყობინებს «საგეგმო კომისია», რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში ჩაბმულ მუშა-ხელის შემადგენლობის ციფრები», რომელსაც ამ ცნობის თანახმათ შეადგენენ: ქართველობა—58,6 პრ., სომეხი—17,4 პრ., რუსი—14,8 პრ. და დანარჩენი—9,2 პრ.

მართლაც რომ ეს ცნობაც ძალიან «მაჩვენებელია», რადგან ამავე დროს (1922-1923 წლის მათივე სტატისტიკით) საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში ეჭირათ: ქართველებს (აფხაზეთით)—73,1 პრ., სომხებს—10,8 პრ., რუსებს—3,4 პროც., ოსებს—4 პრ. და სხვა ეროვნებ.—8,7 პროც. «კომენტარიები ზედმეტია!»-ო, გაზეთის კორესპონდენტები რომ იტყვიან, სწორეთ ეს არის. ასეთი «სტუმართ-მოყვარეობას», რამდენათაც ეს იმიგრაციას შეეხება, თუ შრომის განაწილების პოლიტიკის მომხრეს ვერც ერთ ქვეყნის ხელისუფლებას ვერ იპოვით და, ვფიქრობ, ვერც ერთ ქვეყნის კომუნისტურ პარტიასაც, გარდა ჩვენებურისა.

საქართველოს წარმოება-დაწესებულებებში ქართველებისთვის ყველაზე უფრო ღია არის კარები «ამოღებითი მრეწველობაში», ე. ი. შავი-მუშის როლში (90,5 პ.); მაგრამ მრეწველობის ამ დარგში მთელი მუშათა საერთო რიცხვის მხოლოდ 5 პრ. ჩაბმული. ყველაზე ნაკლებათ (თუ «დანარჩენთა» კატეგორიას არ მივიღებთ სახეში)—«დამუშავებითი მრეწველობაში», ე. ი. სადაც კვალიფიციური მუშაა საჭირო (43,9 პრ.), და «გონებრივი შრომის» ასპარეზზე (59,6 პრ.).

დამახასიათებელია, სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ციფრი («გონებრივი შრომა») იმით, რომ ბოლშევიკები ჩვენი ქვეყნის «ინტელიგენციით გადავსებაზე» ლაპარაკობენ და ამ საკითხის მოსავლელათ «ინტელიგენციის ეკსპორტიც» კი დაასახელეს. მათი სტატისტიკაც იმის მაჩვენებელია, რომ გონებრივი შრომის მიმწოდებელთაგან 1924 წელს 16.333-დან მხოლოდ 8.820 დაუკმაყოფილებიათ (54 პრ.), ხოლო 1925 წელს 11.445-დან მხოლოდ 4.430 (38,7 პრ.). ამავე დროს საქართველოს წარმოება-დაწესებულებებში გონებრივი შრომით მომუშავეთა საერთო რიცხვში ქართველებს უჭირავს მხოლოდ 59,6 პრ. და არაქართველთ—40,4 პრ.

საქართველო თუ გადავსებულია ინტელიგენციით, რატომ არ შეიძლებოდა ამ ინტელიგენციის «ეკსპორტის» საკითხის წამოყენების მაგიერ ინტელიგენციისათვისაც ისე ყოფილიყო გაღებული «შრომის კარები» და მასაც სამშობლოში შრომის უფლება იმდენათ მაინც მინიჭებოდა, რამდენათ, მაგალითად, იგი ჯერ კიდევ შერჩენია ქართველ მუშას «ამოღებითს მრეწველობაში»; და თუ გონებრივი შრომის ასპარეზზე ქართველების 90,5 პრ. დაშვება რაიმე «მაღალ მოსაზრებით» არ შეიძლებოდა, თუნდაც 80 პრ. რომ ყოფილიყო დაშვებული, ჩვენ დავინახავდით თუ რამდენათ შემცირდებოდა უმუშევრობა «გონებრივი შრომის» მუშაკთა შორის. მერე ეს განა უსამართლობა იქნებოდა? განა ეს არ შეეფერება ქართველების პროცენტული რაოდენობას საქართველოში სხვა ეროვნებებთან შედარებით ან ინტელიგენტთა რაოდენობას თვით ქართველ ერში სხვა ერებთან შედარებით?.. არა, ინტელიგენციით ჩვენი ქვეყანა რომ სრულებითაც არ არის გადავსებული და ამით არ არის გამოწვერილი იმის უმუშევრობა, ამას ჩვენ შემდეგ კიდევ უფლო ნათლად დავინახავთ.

დასასრულ ორიოდე სიტყვა კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, კოოპერაცია საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ვაჭრობა—მრეწველობასთან ერთად ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანს შეადგენს და ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ხელისუფლება მართლაც არ «ზრუნავდეს» კოოპერაციაზე *).

ჩვენ ზევით მოვიყვანეთ კოოპერაციის როლი მრეწველობაში და ვაჭრობაში სახელმწიფო და კერძო ვაჭრობა-მრეწველობასთან შედარებით. განსაკუთრებული როლი კოოპერაციას აქვს მინიჭებული სოფლის ნაწარმოების დამზადებაში. 1924-25 წ. «წარმოკავშირს», «ცეკავშირს» და «ძირითად სამომხმარებლო კოოპერატივებს» სულ დაუმზადებიათ 4.451 ათასი მანეთის სოფლის ნაწარმოები. ციფრი თითქოს თვალსაჩინოა. ხოლო საერთოდ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაუმზადებიათ 18 მილ. მანეთის ნაწარმოები, ე. ი. სოფლის ნაწარმოების «საბაზრო ნაწილის საერთო ღირებულების», რომელიც 68 მილ. მანეთათ არის ნაანგარიშევი, 26,4 პრ. ამნაირად, ამ განსაკუთრებულ დავალების საქმეშიც, კოოპერაციას უწევს მხოლოდ 6,4 პრ.

სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრების «გაერთიანებული სავაჭრო ოპერაციები საანგარიშო წლის განმავლობაში ყიდვაში უდრის 8,1 მილ. მან., ხოლო გაყიდვაში 9 მილიონ მან.». როგორც წევრთა რიცხვი (მომხმ. საზოგ.—145 ათასი, სასოფლო-სამეურნეო—32 ათასი და 135 საკრედ. ამხანაგობაა, რომლის წევრთა რაოდენობა არ არის აღნიშნული), ისე საქონლის ბრუნვა, საგეგმო კომისიის ცნობით, მატულობს, თუმცა ეს ზრდა, განსაკუთრებით წევრების, ღრც «საგეგმო კომისიას» მიაჩნია დამაკმაყოფილებლათ. «კოოპერატივთა რიცხვის ასეთი ნელი განვითარებაო, ამბობენ ისინი, უნდა ახსნილ იქმნას მთელ რიგ ფინანსიურ და ეკონომიურ პირობებით»-ო.

რამდენათ მაგარია კოოპერატიული სულისკვეთება დღეს ჩვენებურ კოოპერატივებში, იქედან სჩანს, რომ საქონელს ისინი, თავიანთ, კოოპერატიულ, ცენტრებში უფრო ნაკლებად იძენენ, ვიდრე სახელმწიფო დაწესებულებებში: «დაბალი კოოპერაცია», ისიც ცეკავშირში შემავალიო, ამბობს საგეგმო კომისია, «საქონელს იძენს უმთავრესად სახელმწიფო ორგანოთაგან—54,2 პროც. (მთელი ყიდვის), შემდეგ ცეკავშირისაგან 29,3 პრ., სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან—5,1 პრ. და კერძო პირთაგან—9,8 პრ.».

სოფლათ ჩვენში ყოფილა კოოპერატივები, სადაც გაერთიანებულ მეურნეთა რიცხვი უდრის 70-80 პროც.—მეთამბაქოები, 80-85 პრ.—მეცხვარეები და 100 პროცენტიც—მებამბენი. მაგრამ საერთოთ კოოპერატიულათ შეკავშირებულ გლეხთა რიცხვი 1 ოქტ. 1925 წ. მაინც არ აღემატებოდა 9 პროცენტს.

სამწუხაროთ, არაა ნაჩვენები თუ რა მოგებას აძლევს ეს კოოპერაცია თავის წევრებს და საზოგადოთ მოსახლეობას. სხვა წყაროდან ვტყობილობთ მხოლოდ, რომ მუშისთვის, მაგალითად, მაინც და მაინც სახეირო არ უნდა იყოს კოოპერატივებში ვაჭრობა, რადგან, როგორც 1926 წლის თებერვლის გამოკვლევას უჩვენებია, ჩვენებური მუშები ყიდულობენ საჭირო საგნებს უმთავრესად კერძო ვაჭრებთან. სახელდობ ყიდულობენ (პროცენტებში):

	კერძო ვაჭ-თან.	კოოპ. და სახ. სავაჭ-ში
1. კვების საგნებს	57,7	42,3
2. მაგარ სასმელებს	87,7	12,3
3. თამბაქოს, პაპ., ასანთს	67,4	32,6
4. ტანთსაცმელს, ფეხსაც.	35,1	64,9
5. საპონს	25,5	74,5
6. სათფობ და გასანათ. საგნ.	75,2	24,8
7. საოჯახო საგნებს	59,4	40,6

(იხ. «ნაროდნოე ხოზიაისტვო ზაკავკაზია» 1927).

რაც შეეხება «მოგებას», რომელსაც კოოპერაცია აძლევს თავის წევრებს, ამას ჩვენ «საგეგმო კომისიის» გამოცემაში მხოლოდ «კოოპერატიული ცენტრების» შესახებ ვტყობილობთ. ესაა ზარალი, რომელიც უდრის: «ცეკავშირისთვის —1.449,9 ათას მან., წარმოკავშირისათვის—326,7 ათას მან. და ტფილისის მუშათა კოოპერატივისათვის—293,2 ათ. მან. (რომლიდანაც წინა წლის ზარალი 96,7 ათ. მან. შეადგენს).»

თუ ისეთივეა პერიფერიის კოოპერატივების მდგომარეობა, როგორიც «ცენტრებში» ყოფილა, ცხადია, რატომ სწუხს «საგეგმო კომისია», როცა იგი ამბობს: «კოოპერატივთა რიცხვის ასეთი ნელი განვითარება უნდა ახსნილ იქმნას მთელ რიგ ფინანსიურ და ეკონომიურ პირობებით»-ო!..

აი მოკლეთ, თვით საბჭოთა ოფიციალურ წყაროების მიხედვით. საერთო სურათი საბჭოთა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის. გავეცნოთ უფრო დაწვრილებით ამ მდგომარეობის ზოგიერთ საყურადღებო მხარეებს.

პ. კანდელაკი.

მემორანდუმი

წარდგენილი კავკასიის და უკრაინის მრეშის წარმომადგენლების მიერ ნაციათა ლიგის მერვე კრებაზე.

ბოლშევიზმის არსებობის ათი წლის განმავლობაში მთელი ქვეყანა დარწმუნდა ორს უდაო ჭეშმარიტებაში: ერთი მხრით იმაში, რომ მიუხედავად ზოგიერთ წვრილმან ცვლილებისა ბოლშევიზმმა შეინარჩუნა თავისი ხასიათი და წინაამდეგ ყოველგვარ მოლოდინისა სრულებით არ განვითარდა არც სოციალურად, არც პოლიტიკურად იმ მიმართულებით, რომელიც სჩვევია განათლებულ ქვეყნებს; მეორეს მხრით იმაში, რომ ს. ს. რ. კ. ერების საკითხი უფრო და უფრო გამწვავდა, მიიღო უდიდესი მნიშვნელობა და მას შეუძლია გახდეს უძლიერესი იარაღი არა მხოლოდ ამ ერების განსათავისუფლებლად, არამედ თვით ბოლშევიკური ტირანიის ლიკვიდაციის მოსახდენად.

ბოლშევიზმი.

დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტამ და საკომერციო ხელშეკრულობის გაუქმებამ დიდ ბრიტანეთსა და ს. ს. რ. კ-ს შორის ყველასათვის ცხად ჰყო, თუ რამდენად ფუჭი იყო იმ სახელმწიფო მოღვაწეების იმედები, რომელთაც ეგონათ, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობით და მასთან ნორმალურ ურთიერთობის შექმნით შესაძლებელი იქნებოდა მისი თანდათანობითი გარდაქმნა წესიერ მთავრობად. დღეს უკვე აღარავის სჯერა, რომ ასეთი სასწაული შესაძლებელია.

მართალი რომ ვსთქვათ, დღეს აღარავისთვის არაა დაფარული, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც იცვნეს სახელმწიფოებმა, არასოდეს არ არსებობდა ნამდვილად, როგორც ხელისუფლება ს. ს. რ. კ-ში. ამ მთავრობის ზურგს უკან და მის პირით ლაპარაკობდა და მოქმედობდა მუდამ, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, მარტო მსოფლიო რევოლუციის მთავარ—შტაბი, რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროო. ეგევე პოლიტბიუროა, რომ ხელმძღვანელობს კომუნისტურ ინტერნაციონალს და აწვდის თავის დირექტივებს მთელი ქვეყნის კომუნისტურ ორგანიზაციებს. რასაკვირველია, წინაამდეგ საზოგადო შეხედულობისა, არავითარი დუალიზმი არ არსებობს, მით უფრო რაიმე ქიშპობა საბჭოთა მთავრობასა და კომუნისტურ ინტერნაციონალს შორის ერთის მხრით და პოლიტბიუროს შორის მეორეს მხრით; პირველი ორნი სრულიად დამოკიდებულნი არიან უკანასკნელისაგან.

მაგრამ პოლიტბიუროს აბსოლუტური ბატონობა დანარჩენ ორგანიზაციებზე სრულებით ვერ განმარტავდა საკმაოთ საბჭოთა წყობილების ევოლუციის შეუძლებლობას, პოლიტბიუროს წევრები, კერძოთ სტალინი, რომ იყვნენ ისეთი გულუბრყვილო ფანატიკოსები, როგორც ეს წარმოუდგენია ბევრს. პოლიტბიუროს წევრებმა, როგორც მათმა წინასწარმეტყველმა ლენინმა, ყველაზე უკეთ იციან, რომ სასოფლო მეურნეობის და ჩამორჩენილ ქვეყნაში შეუძლებელია სოციალიზმის დამყარება, ხოლო თუ წინაამდეგში გვარწმუნებენ, ეს იმიტომ რომ ევროპის და აზიის რევოლუციონურ მოძრაობის გამოწვევის ცდა გაკოტრდა და გამოუსავალი მდგომარეობა შეიქნა. რა უყოთ, რომ მსოფლიო რევოლუციას ნაკლები შანსი აქვს. ბოლშევიკები მით უფრო მიმართავენ მთელს თავის გონებრივ და ქონებრივ ძალას ამ მიზნისაკენ. ეს გასაგებია: თუ ბოლშევიკებმა ვერ მოახერხეს იმ მორალურ კედლის დანგრევა, რომელიც ჰყოფს ს. ს. რ. კ-ს დანარჩენ ქვეყნისაგან, მაშინ ხომ იძულებულნი გახდებიან იარაღი დაჰყარონ. უკანასკნელი შეტაკება სტალინის ჯგუფისა ოპოზიციასთან, ტროცკისთან, აშკარად გვიჩვენებს, რომ ბოლშევიზმის ასეთი ბოლო ახლოვდება. მაგრამ რაშია განსხვავება ბბ. სტალინის და ტროცკის შეხედულობათა? რასაკვირველია, არა იმაში, რომ ან ერთს ან მეორეს ამ ლიდერთაგანს ესმოდეს შეცდომა ს. ს. რ. კ-ში გაბატონებულ რეჟიმისა, მით უმეტეს საჭიროდ ან სასურველად მისი შეცვლისა აგრეწოდებულ ბურჟუაზიულ წყობილების მიმართულებით, რომელიც ორსავე ერთგვარად სძულს. პირიქით, ტროცკი უსაყვედურებს სტალინს რევოლუციის საქმის ღალატს; მისი აზრით, ოპოზიციის გამარჯვება გადაარჩენდა ერთსა და იმავე დროს რევოლუციას და სოციალიზმსაც მსოფლიოში. თუ არსებობს განსხვავება მართველ წრეებსა და ოპოზიციას შორის, ეს არ შეეხება მათ მიზნებს, არამედ ამის განსახორციელებელ გზებს.

მართველმა ჯგუფმა დაჰკარგა ყოველი იმედი უცხოეთში კრედიტის მიღებისა და ჰგრძნობს აუცილებელი ეკონომიური და ფინანსიური კატასტროფის მოახლოებას, ამიტომ ცდილობს მასების ყურადღება შინაურ გაჭირვებიდან გარეთ გადაიტანოს—ჰქმნის ნამდვილ პანიკას იმ სამხედრო ინტერვენციის გამო, რომელსაც ვითომ ამზადებენ ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ კაპიტალისტური სახელმწიფოები დიდი ბრიტანეთის მეთაურობით. ის კი უეჭველია, რომ პოლიტბიუროო, რომელსაც აღარა აქვს უკვე რწმენა თავის მეთოდების და საშუალებების ძალისა უცხოეთში რევოლუციონური მოძრაობის გამოსაწვევად, დარწმუნებულია, რომ ომი თავის საშინელი შედეგებით ერთად ერთი კოზირია, რომელიც დარჩენია მას ბოლშევიზმის გადასარჩენად მსოფლიო მასშტაბში. ყველამ კარგად უწყის, თუ როგორ გულდადებით ამზადებს ს. ს. რ. კ. ყოველგვარის საშუალებით შეიარაღებულს კონფლიქტს, რისთვისაც სარგებლობს განუმტკიცებლობას, რომელიც დღეს კიდევ არსებობს ევროპის ზოგიერთ ნაწილებში. სრულიად გასაკვირი არაა, როცა ამბობენ, რომ ბოლშევიზმი იშვა ომისაგან და ხსნას მხოლოდ ომში ხედავს.

ეროვნებათა საკითხი ს. ს. რ. კ-ში.

იმის და მიხედვით, როგორც კი აშკარავდება მთელის სიშიშვლით ბოლშევიზმის ბუნება და მისი ჯოჯოხეთური გეგმა კაცობრიობის წინააღმდეგ, განათლებულმა ქვეყნებმა დაიწყეს ცალ-ცალკე ზომების მიღება თავის საზღვრების დასაცავად ჩვენი დროის უდიდესი საშინელების წინააღმდეგ. მთავრობათა მისწრაფებას ამ მხრივ დიდი სიძნელე ეღობება წინ, რადგან ბოლშევიკები თავის განზრახვებს დემაგოგიით ჰფარავენ, რასაც უწოდებენ «პროლეტარიატის დიქტატურის» და «სოციალიზმის» სახელს და ამგვარის ტაქტიკით ხელსაყრელ პირობებს ჰპოულობენ ევროპისა და სხვ ქვეყნების მუშათა წრეებში.

მაგრამ რა უნდა ვსთქვათ იმ სახელმწიფოებსა და ერებზე, რომელნიც უკვე გახდენ მსხვერპლი ბოლშევიკების გაუგონარი ცდების? განათლებულ ქვეყნებს აქვთ ნათელი წარმოდგენა იმ ერების სატირალ ბედზე, რომელნიც გმინავენ მოსკოვის უღლის ქვეშ?

სანამ ამას პასუხს გავცემდეთ, მიუცილებლათ საჭიროა სწორი განსაზღვრა ამ ერებსა და რუსებს, ანუ უკეთ ველიკოროსებს შორის.

არავის შეუძლია იმის უარყოფა, რომ თვითონ რუსის ხალხიც იტანჯება ბოლშევიკური დიქტატურის საშინელ უღლის ქვეშ; ხოლო ეს უკანასკნელი არავინ დაადგა მას გარედან, არამედ იგი შექმნილია შინაგან სახელმწიფოებრივ გადატრიალებით და მას ღრმა ფესვები აქვს თვითონ რუსის ხალხის ცხოვრების პირობებში: ყველამ უწყის, რომ რუსის გლეხების სათემო მიწის მფლობელობა (ობშჩინა), რომელიც წინამორბედია დღევანდელ «ნაციონალიზაციისა», მათი სრული უკულტურობა რომანოვების რეჟიმის დროს, ინდუსტრიის სუსტი განვითარება და ბურჟუაზიულ კლასების უძლურება—აი მთავარი მიზეზები, რომელთაც ხანგრძლივი და გამანადგურებელი ომის გავლენით შეარყიეს სახელმწიფო და მისცეს საშუალება ბოლშევიკ კონსპირატორებს დაემარხათ თებერვლის რევოლუციის დემოკრატიული მონაპოვარი და ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. აი ამიტომ საბჭოთა მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ ძალმომრეობითაა წარმოშობილი და ემყარება უმნიშვნელო უმცირესობას და ბატონობს დიდ უმრავლესობაზე, მაინც რუსული მთავრობაა, ვინც რა უნდა სთქვას.

ამგვარი მდგომარეობა არ არსებობს კავკასიის ერებისთვის, უკრაინელებისათვის და სხვა არა რუს-ერთათვის, რომლებიც ჯერ კიდევ მეფეების დროს არ უყურებდენ რუსის მთავრობას, როგორც საკუთარ ეროვნულ მთავრობას. რუსის მთავრობა უცხო იყო მათვის, მტრულად განწყობილი და დესპოტიური. ესვე ითქმის კიდევ მეტის სიძლიერით საბჭოთა მთავრობაზე, რომელიც გარედან შეიჭრა მათში და არსებობს მხოლოდ საოკუპაციო ჯარების შემწეობით.

საბჭოთა წყობილება არ წარმოადგენს არაფერს მიმზიდველს ამ არა რუს ერებისთვის, რომელთაც დიდი ხანია განვლეს სათემო მიწისმფლობელობა და რომელთა გლეხობა წვრილი მესაკუთრეა და მტრულად უყურებს ყოველგვარ ნაციონალიზაციას. ეს ერები განსხვავდებიან რუსებისაგან თავის ენით, ისტორიით, ტრადიციებით, მიდრეკილებით და სხ. და მათ სრულებით სხვაგვარათ ისარგებლეს ცარიზმის დამხობა, ვიდრე რუსებმა. მათ გამოაცხადეს თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და შექმნეს დემოკრატიული რესპუბლიკები, რომელთაც საფუძვლათ დაუდვეს მოწინავე სახელმწიფოების კონსტიტუციები.

მაგრამ როგორც კი შეუდგენ ეს ერები დამოუკიდებელი სახელმწიფოების მოწყობას და ეროვნულ ჯარების შექმნას, მაშინვე გახდენ მოსკოვის იმპერიალიზმის მსხვერპლი! საოკუპაციო ჯარებმა არა რუსი ერები გარდააქციეს ნაამდვილ პარიებად, წაართვეს მათ ყოველი უფლება თავის თავის და თავის სამშობლოს პატრონობისა. აღარ არსებობს უფლება არც ქონების, არც სიცოცხლის, არც რწმენის, არც ოჯახის და ყველაფერს ემუქრება მუდამ მოსკოველ ბარბაროსების სისხლიანი ხელი.

ხოლო არა რუსის ერები სასოწარკვეთილებას არ მისცემიან; ისინი მხნედ და მამცურად იბრძვიან და სწამთ, რომ მათი თავგანწირვა დასძლევს უცხოელ მოძალადეს და დაკარგულ თავისუფლებას ხელახლა დაიბრუნებენ. აქ კვლავ აშკარავდება განსხვავება არა რუს და რუს მკვიდრთა შორის. მაშინ როდესაც რუსები მოთმინებით იტანენ ისტორიაში გაუგონარ ძალმომრეობას და ჩაგვრას, არა რუსები მწვავე წინააღმდეგობას უწევენ მოსკოვს და შეიარაღებულ აჯანყებასაც კი აწყობენ.

არა რუსთა რიცხვი საერთოდ მეტია რუსებისაზე. უკანასკნელ აღწერილობის მიხედვით ს. ს. რ. კ-ში რუსია 65 მილ., დანარჩენ არარუსთა რიცხვი აღწევს თითქმის 75 მილ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არა რუს ერებს მიდრეკილება აქვთ შეერთდენ მოსკოვის უღლის ჩამოსაგდებლათ, მაშინ მივხვდებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნებათა საკითხს და რა დიდი როლი შეუძლია ითამაშოს მან ს. ს. რ. კ-ის ამბებში.

მეორეს მხრით უნდა აღინიშნოს, რომ განათლებულ ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს საკმაო ინფორმაცია არ მოეპოვება საკითხის შესახებ. სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის უა-

---

*) ჩვენი შეხედულება ისეთ მზრუნველობის შესახებ ჩვენ გამოვსთქვით გაზ. «ბრძოლაში» № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რყოფაც, რომ დიდმა სახელმწიფოებმა, სხვადასხვა მოსაზრებით, ხელი შეუწყვეს საქმის გაუგებრობას: ანგარიში არ გაუწიეს დამონებულ არა რუს ერებს, გამართეს მოლაპარაკება მოსკოვთან და იცვნეს საბჭოთა მთავრობა. 1918 წლიდან 1921 წლამდის, როცა ამ ერებმა შესძლეს დამოუკიდებელი რესპუბლიკების მოწყობა, დიდმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს მხოლოდ ზოგიერთს მათგანს. საკუთარ ბედზე მიგდებულნი ეს თავისუფალი რესპუბლიკები დაეცნენ ერთი მეორის შემდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს წითელ ჯარებს, რომლებიც გაცილებით უფრო ძლიერნი იყვნენ რიცხვით და იარაღით.

წითელი იმპერიალიზმი მხოლოდ გაგრძელებაა მეფეთა იმპერიალიზმისა; თუ რამ განსხვავებაა მათ შორის ის—რომ პირველი უფრო საშინელია მეორეზე. კიდევ მეტი, არასოდეს ისტორიის მანძილზე არც ერთს მთავრობას არ მიუმართავს ისეთ ფარისევლურ და ვერაგ საშუალებებისათვის, რომელსაც მიმართავს საბჭოთა მთავრობა. ამისათვის საკმარისია თვალი გადავავლოთ ს. ს. რ. კ—ის კონსტიტუციას. რა პრინციპები უდევს საფუძვლად ამ კონსტიტუციას? ყოვლის უწინარეს თვითეულს ერს მინიჭებული აქვს უფლება თვითგამორკვევისა კავშირიდან სრულ გამოყოფამდე! მოსკოვის ლიბერალიზმი იქამდისაც კი მიდის, რომ ქარტიდან სიტყვა «რუსეთიც» კი წაშალა და შექმნა ყველა ერისათვის, ხშირად ეთნიურად უცნობისათვის, საკუთარი ეროვნული «მთავრობა, პარლამენტი ბიუჯეტი». ხოლო ყველამ კარგათ უწყის, თუ რა იფარება ამ ყალბ სახელებს ქვეშ!

სახელმწიფოებს ჰქონდათ შეძლება თავის თავზე დარწმუნებულიყვნენ, რომ მოსკოვი ადვილად ჰპოულობს დაჩაგრულ ერთა შორის სამშობლოს მოღალატეებს, რომელნიც ადგენენ «ეროვნულ» მთავრობებს და ასრულებენ მოსკოვის ბრძანებებს. მეორეს მხრით, თუ ლენინის შემდეგ დიქტატორები—ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სტალინიც არარუსები არიან, ეს კიდევ გვიმტკიცებს რუსის ხალხის გულგრილობას საკუთარ ბედის მიმართ.

ამ ფაქტებიდან ერთი ცხადია: თვითონ მოსკოვიც სცნობს, თუ რა დიდ მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენს ს. ს. რ. კ-ისთვის ეროვნებათა საკითხის გადაწყვეტა. მოსკოვის განუწყვეტელი განცხადებანი, რომ განახორციელა ჭეშმარიტი «დამოუკიდებლობა, ფედერაცია, კავშირი» ერებისა, იმას გვიჩვენებს მხოლოდ, რომ ეს ერები არ არიან კმაყოფილნი ცალიერი ფორმულებით და მუშაობენ ბორკილებისაგან განსათავისუფლებლად.

ნამდვილად არასოდეს არ არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს «ერთი და განუყოფელი» რუსეთი, როგორსშიაც არწმუნებდა ქვეყანას ძველი ცარისტული მთავრობა. ევროპამ ეს დაადასტურა, როდესაც იცნო ყოფილ რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილი სახელმწიფოები, როგორც პოლონეთი და ბალტიის რესპუბლიკები; მან იცნო აგრეთვე სხვა რესპუბლიკებიც, რომელნიც შემდეგ დაემხვენ მოსკოვის ძალმომრეობით და იგი იძულებული იქნება ფაქტების ლოღიკით მხარი დაუჭიროს ამ რესპუბლიკებს და სხვათაც, ჯერ არ ცნობილთ, მხარი დაუჭიროს მათ ბრძოლას თავისუფალ არსებობისათვის.

(დასასრული იქნება)

ერთა ლიგის მერვე ყრილობა.

(წერილი ჟენევიდან)

არავინ არ მოელოდა, რომ წრევანდელი ყრილობა ერთა ლიგისა რაიმე ინტერესს წარმოადგენდა. პირიქით, საერთო აზრი იყო, რომ ის ყველა წინანდელზე უფრო უფერული და უმნიშვნელო იქნებოდა, მიუხედავათ იმისა რომ ოცამდე საგარეო მინისტრი აპირობდა ჟენევისკენ და საზოგადოთ თითქმის ყველა ქვეყნები თავიანთ გამოჩენილ წარმომადგენლებს გზავნიდენ. ფიქრობდენ, რომ მთელი მნიშვნელობა ამ სესიისა კულისებში იქნებოდა გადატანილი, მინისტრთა შორის მათი ქვეყნების კერძო საქმეების მოსარიგებლათ. ასეთ აზრს საფუძველს აძლევდა ის უშინაარსო პროგრამა, რომელიც 3 თვის წინ ყრილობამდე სეკრეტარიატმა დაუგზავნა მთავრობებს. არც ერთ ახალ დიდ კითხვას პროგრამა არ შეიცავდა. და თუ ზოგი ძველი დიდი პრობლემები შეტანილ იქნა დღის წესრიგში, ისიც არა რაიმე ახალი გამოსავალის გამოსანახავათ. ამას მიუმატეთ ლორდ სესილის და ჟევენელის გადადგომის ირგვლივ შექმნილი ხმაურობა (ვინც ლორდს კარგად იცნობს, მისთვის ცხადია, რომ მას არავითარი პრინციპი არ ამოქმდებდა. მისი ჟესტი აიხსნება წინასწარ გრძნობით მომავალ არჩევნების ბედის და ამიტომ გაემიჯნა ეხლანდელ მთავრობას, რათა მომავალთან ჰპოვოს წყალობა) და ადვილათ წარმოიდგენთ პესიმისტურ შეხედულობის გავლენას.

წინააღმდეგ მოლოდინისა, ყრილობამ განსაკუთრებითი საინტერესო ხასიათი მიიღო და უეჭველია ის ჩაითვლება ერთ უმნიშვნელოვანეს სესიათ.

საყოველთაოთ გავრცელებულია აზრი, თითქოს ერთა ლიგას ინგლისი და დიდი სახელმწიფოები ბრძანებლობდენ, რაც მათ სურთ, იმას აკეთებდენ და სხ. ასეთი აზრი აქამდე უდავოთ ითვლებოდა. მართლაც, პატარა სახელმწიფოები პირველ ხანებში გაბედულობას სრულებით ვერ იჩენდენ, დიდებს შეჰყურებდენ და თითქმის ყოველთვის ისე იქცეოდენ, როგორც უკანასკნელთ სურდათ.

თუმცა ეს მდგომარეობა თანდათან იცვლებოდა, პატარა ერთა ემანსიპაცია გზას იკვალავდა, უკანასკნელ სესიამდე არ ჰქონია ადგილი ისეთ ფაქტს, რომელსაც საყოველთაოთ აღენიშნა პატარა ერთა როლის და მნიშვნელობის ზრდა ლიგაში. ეხლა კი ასეთი პრეცედენტი შექმნეს პატარა ერებმა: მიუხედავათ გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის რჩევისა და გავლენის ამუშავებისა, ისინი წინააღუდგენ ბელგიის საბჭოში ხელახლა არჩევას და გააშავეს კიდეც ის.

რა თქმა უნდა, დიდად სამწუხაროა, რომ პატარა ერებმა ბელგიის წინააღმდეგ ხმის მიცემით გამოაამჟღავნეს თავისი ნება დიდ საალმწიფოთაგან დამოუკიდებლობისა: აბა რომელ ქვეყანას დაუცავს მათი ინტერესები ისე ერთგულათ და ენერგიულათ, როგორც იცავდა ბელგია მთელ ამ 8 წლის განმავლობაში! მარა ამკარაა ისიც, რომ ეს ფაქტი აქარწყლებს იმ ზღაპარს, თითქოს ერთა ლიგა სათამაშო იყოს რომელიმე სახელმწიფოს ხელში და მოწმობს მასში შემავალ წვრილ ერთა დამოუკიდებელ მოქმედების უნარს.

ყრილობის მეორე აქტიც ამასვე ღაღადებს—ლიგის წევრთა ფაქტიურ სწორუფლებიანობას ამტკიცებს (თეორეტიულად, ე. ი. პაქტის ძალით ხომ დიდ საფრანგეთს და პატარა ალბანიას ერთი და იგივე ხმა აქვს). აქამდე თვით ინგლისს გარდა, რომელსაც, როგორც ვიცით, მუდმივი ადგილი აქვს საბჭოში, არც ერთი წევრი ბრიტანეთის იმპერიის (დომინიონები) საბჭოს წევრათ არ არჩეულა და ამნაირათ ლიგის აღმასრულებელ ორგანოში მთელ იმპერიას ინგლისის მთავრობა წარმოადგენდა. წელს, წინააღმდეგ ამ უკანასკნელის სურვილისა, კანადამ წამოაყენა თავისი კანდიდატურა და არჩეულიც იქნა პატარა ერების ხმებით! (უეჭველია, ჩემბერლენის ენერგიული ჩარევა ბელგიის სასარგებლოთ მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მას უნდოდა ამნაირათ კანადის არჩევა ჩაეშალა).

მოულოდნელი იყო აგრეთვე ამ ყრილობაზე საერთო ხასიათის ჩვეულებრივი დებატების გაფართოვება და გაღრმავება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლიგის ისტორიაში პირველათ ამ დებატებს მწყობრი და გარკვეული მსვლელობა მიეცათ. აქ დიდი როლი ითამაშეს პოლონეთმა და ჰოლანდიამ. პირველის წარმომადგენელმა, სოკალმა შეიტანა რეზოლიუციის გეგმა, რომლის თანახმათ ყოველივე ომი უნდა უარყოფილიყო. მისი ამტეხი კანონს გარეშე გამოცხადებული და მის წინააღმდეგ ავტომატიურათ მიმართულიყო ლიგის ყველა წევრების რისხვა. ჰოლანდიის საგარეო მინისტრმა კი მოითხოვა ცნობილი ჟენევის «პროტოკოლის» აღდგენა, რაც ძლიერ სიტყვათ იქნა მიჩნეული, ვინაიდან მის მოწინააღმდეგეებს პროტოკოლი სამუდამოთ დამარხულათ მიაჩნდათ და მისი დამცველნი იმედ დაკარგულნი იყვენ. პროტოკოლმა სამარიდან ამოხეთქა და ყველანი აალაპარაკა. ალაპარაკდენ განსაკუთრებით პატარა ერების წარმომადგენლები, რომელთათვის მას უზრუნველყოფა უნდა მიენიჭებია, და ქება-დიდება შეასხეს «ჟენევის პროტოკოლს». ჩემბერლენმა ეს საყვედურათ მიიღო. მან სთქვა—ინგლისმა საქმით დაამტკიცა მშვიდობიანობის და შეთანხმების მომხრეობა, «უზრუნველყოფის გარანტიაში» მონაწილეობა მიიღო ლოკარნოს ხელშეკრულების ხელის მოწერით; არბიტრაჟი ფაქტიურათ იცნო, მაგ., ოსმალეთთან შეთანხმებით, თუმცა საბჭომ მას სრული უფლება მისცა, მოქცეულიყო, როგორც მას სურდაო და სხ. მისმა უეცრივ განცხადებამ—ინგლისის მთავრობის მიერ არბიტრაჟის სავალდებულოთ ცნობა იმპერიის დარღვევას მოასწავებსო, გაკვირება გამოიწვია. გაუგებარი დარჩა აგრეთვე საბერძნეთის წარმომადგენლის, პოლიტისის, მოხდენილი არაკებით და სოფიზმებით შემკობილი, მარა შინაარსით ღარიბი სიტყვა. ბრიანმა სამართლიანათ შენიშნა, რომ პოლიტისში ნიჭიერმა იურისტმა პოლიტიკოსი ჩაჰყლაპაო.

ამ დიდ დებატებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა—როგორც გასულ წელს—შტრეზემანის და ბრიანის სიტყვებს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პირველის ლოიალურმა განცხადებამ—გერმანია სცნობს ლოკარნოს ხელშეკრულების ძალასო როგორც დასავლეთით ისე აღმოსავლეთითო (პოლონეთი). მეორემ თავისი დიდი პირადი ავტორიტეტით, ორატორული ნიჭით და თავისებური ოპტიმისტური ფილოსოფიით (პესიმიზმი პოლიტისს დაულოცა), მართლაც დიდათ ასწია ყრილობის სულისკვეთება.

მიღებულ უმთავრეს რეზოლიუციებიდან საჭიროა აღინიშნოს გადაწყვეტილება, მოწვეულ იქნას კონფერენცია საერთაშორისო უფლების კოდიფიკაციისათვის; აგრეთვე საფრანგეთის წინადადების მიღება დიდი ეკონომიური კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელიც შეიკრიბება წელიწადში ერთხელ და განიხილავს ყველა მასალებს, შეკრებილს უკვე არსებულ მუდმივ ეკონომიურ სექციის მიერ, და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

მეტათ საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო არჩევნები საბჭოში. გასულ წელს საბჭოს წევრებათ არჩეულ იქნენ რუმინია და პოლონეთი (უკანასკნელს ნახევრათ მუდმივი ადგილიც მიანიჭეს). ამ ქვეყნების არჩევა გამოწვეული იყო უმთავრესათ მათი გეოგრაფიული მდგომარეობით, რუსეთის იმპერიალიზმის მეზობლობით. ჟენევაში წარმოდგენილმა ერებმა უთხრეს რუმინიას და პოლონეთს—რუსეთის ნუ გეშინიათ, ჩვენ თქვენთან ვართო.

თუ გასულ წელს ერთი ბოძი ბუხარესტში და მეორე ვარშავაში ჩაასვეს, რის მნიშვნელობა ყველას კარგად აქვს წარმოდგენილი, წრევანდელი ამბავი კიდევ უფრო საყურადღებოა. წელს ლიგამ ამით არ დაკმაყოფილდა და საჭიროთ დაინახა თვით პეტროგრადის წინ, ჰელსინგფორსში, მესამე ციხის გამაგრება—ფინლიანდიის საბჭოში არჩევა. ეს ფაქტი თავისთავათ ღაღადებს და არავითარ კომენტარიებს არ საჭიროებს. საჭიროთ მიმაჩნია მხოლოდ აღვნიშნო, რომ ბოლშევიკები ფინლიანდიის ერთა ლიგის საბჭოში არჩევას ძლიერ ებრძოდენ, გერმანიას მიმართეს, რამენაირათ მას ხელი შეეშალა ამისათვის. ბერლინი შეპირდა. პირველ ხანებში მართლაც ის ფინლიანდიის წინააღმდეგ მიდიოდა. შემდეგ რყევა დაიწყო და ბოლოს კი საკითხი ფინლიანდიის სასარგებლოთ გადაჭრა. გერმანიის ასეთი ქცევა ლოღიკური გაგრძელებაა მისი ერთა ლიგაში შესვლისა. ბერლინი მოსკოვს ბუნებრივათ შორდება.

ხარიტონ შავიშვილი.

ჟენევა, სექტ. 1927 წ.

ახალი კათოლიკოზი.

სრულიად საქართველოს მეოთხე საეკლესიო კრებამ მცხეთის საკათალიკოზო საყდარზე აღიყვანა აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე (ციცქიშვილი). ამ ღირშესანიშნავი აქტისა გამო ცოტა რამ გვეთქმის: სამშობლოში არსებული პირობები შეუძლებლადა ხდიან, როგორც იქ მომწყვდეულ პიროვნებათა დახასიათებას, ასევე საეკლესიო მოვლენათა და საკითხთა ჯეროვან განხილვასა და შეფასებას.

წაღმაუკუღმა შეტრიალდა ჩვენი ეკლესიის ბედი! ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ სულ რაღაც ათიოდე წლის მანძილზე ეკლესიას უკვე მეოთხე საჭეთმპყრობელი ევლინება. ხოლო სამ პირველთაგანში-კი არც ერთი იყო სასიკვდალო. კეთილმოუთვლელი გამოდგა მათთვის გადასხვაფერებული ცხოვრების გართულებული პირობები! თვითეული მათგანის ხანმოკლე მოღვაწეობა კი გაცისკროვნებული შუქით ეფინება წმიდა ნინოს ეკლესიას! ერმა თავის წიაღში მიაგნო ამ შუქსა და ერსავე მიეფინა მისი ნათელი: «არავინ აღანთის სანთელი და დასდგის ფარულად, გინა ხვიმირსა ქვეშე, არამედ სასანთლესა ზედა, რათა შემავალნი ჰხედვიდენ ნათელსა» (ლუკა. 11. 33.).

მძიმეა მცხეთის საკათოლიკოზო გვირგვინი! ბევრი მღვდელმთავარი მოზნექილა მის ქვეშ. ყველას ხომ არ შეუძლიან იყოს «კაცი ღირსი ქებისა, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე, ყოველთა ტკბილი მდაბალი, პატრონის ერთგული და შემეცნებული საურავთა ეკლესიათა და მონასტერთათვის». როგორც გვისახავს მემატიანე ეკლესიის მწყემს!

ძალუძს ახლად არჩეულ კათოლიკოზს დაიფაროს წამებული ეკლესია მაჭირვებელთაგან, არ დასცეს «დროშა მძლეველი», არ ჩააქრობინოს მტერთ სიონის შარავანდედი? სხვა სიტყვებით: დაცულ იქნება ცხოველი სული ეკლესიისა, ეგზომ განდიდებული უწმიდესთა კირიონისა, ლეონიდისა და ამბროსის მიერ?

ახალი კათოლიკოზი ბევრთათვის უცნობია: სიყრმეშივე გადმოსული ქართლში ზემოიმერეთიდან, ქრისტეფორე ციცქიშვილი მრავალწლის განმავლობაში ეწევა მღვდლობას იმავე ქართლში, სურამში. ის იმთავითვე ყურადღებას იპყრობს, როგორც კარგი მქადაგებელი, გონებრივად წინამდგომი და ავტოკეფალიის დიდი მოტრფიალე. ჯერ კიდევ სულ ჯეიელი მღვდელი ის არჩეულ იქნა 1905 წლის სამოციქულოების ცხებილ კრების პრეზიდიუმში. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მღვდელი ქრ. ციცქიშვილი, უკვე დაქვრივებული, გადმოყვანილ იქმნა ტფილისში. აქ მას მიეცა საშუალება უნივერსიტეტში შესვლისა; ახალგაზდული გატაცებით შეუდგა ის მეცნიერების შესწავლას და წარმატებითაც დაამთავრა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. ავტოკეფალიის პირველ ხანებში, დაჯილდოებული დეკანოზის ხარისხით, ქრ. ციცქიშვილი რედაქტორობდა ოპოზიციური მიმართულების სასულიერო ჟურნალ «ახალ სიტყვას», რომელშიაც ბევრი წარჩინებული პირი თანამშრომლობდა.

რაკი ამ გარემოებას შევეხე. საჭიროდ მიმაჩნია აქვე შევნიშნო, რომ ამ ჟურნალმა და მისი მიზეზით გამოწვეულმა მოვლენებმა დიდათ ავნეს ჩვენს ეკლესიას და კათალიკოზ კირიონსაც ბევრი უსიამოვნება მიაყენეს. ეს იყო გაგრძელება იმ პარტიული ქიშპობისა, რაიც ეკლესიური საქმიანობას «დროებითი მართველობის» ხანიდან თან სდევდა და რამაც დამღუპველი მიმართულება მიიღო პირველ საეკლესიო კრებაზე. სამწუხაროდ, სამღვდელოების ერთმა ნაწილმა ეს ბრძოლა კათოლიკოზის არჩევნების შემდეგაც განაგრძო. ზემო დასახელებულ ჟურნალში ბევრი ისეთი რამ იბეჭდებოდა, რისი გამოქვეყნებაც იმდროინდელს პირობებშიც არ იყო გონიერი და რაიც ახლადაღდგენილ ეკლესიის მტრებმა ხელზე დაიხვიეს მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ჟურნალის ხელმძღვანელობა იყო ერთერთი მიზეზი იმისა, რომ დეკანოზი ქრ. ციცქიშვილის კანდიდატურამ საეპისკოპოზოდ 1921 წელს დიდი მღელვარება და ალიაქოთი გამოიწვია სასულიერო წრეებში. საჭირო გახდა კათოლიკოზი ამბროსის ავტორიტეტული ჩარევა, რათა სამღვდელოების გამოსვლებს უკიდურესი გამოსახულება არ მიეღოთ! 1922 წელს დეკ. ქ. ციცქიშვილი ხელდასხმულ იქმა ეპისკოპოზათ ჯერ ქორეპისკოპოზის თანამდებობაზე, შემდგომ მას მიენიჭა ურბნისის კათედრა გორში. კათალიკოზად არჩევის წინ ის განაგებდა აფხაზეთის ეპარქიას მიტროპოლიტის ხარისხში.

კათალიკოზი ქრისტეფორე მეტისმეტად სათნოიანი, კეთილი და თავმდაბალი ადამიანია. ხოლო ამასთანავე მას მოსდევს ხასიათის სინტკიცე და შეუდრეკელი ნებისყოფა. შრომისმოყვარესა და ბეჯითს საქმეში, მას ამ უმაღლეს ხარისხში ხანგძლივ მღვდლობის სამსახურში მიღებული გამოცდალებაც დაეხმარება. ახალი მწყემსმთავარი ზედმიწევნით იცნობს თავის ეკლესიას; უწყის მან ადგილობრივი ვითარებანი, სამღვდელოების ავი და კარგი. ეკლესიის საერთო გამგებლობაში კი მისი უწმინდესობის გზის მანათობლი იქნებიან სრულიად საქართველოს საკათლიკოზო ეკლესიის, როგორც საუკუნოებში გადასული, ასევე უახლოესი ჟამის სახელოვანი ფურცლები.

რ. ინგილო.

«დამოუკიდებელი საქართველო»

ხელისმომწერთათვის ღირს საფრანგეთში ერთის წლით 20 ფრ., ნახევარი წლით 10 ფრ. სხვა ქვეყნებში—ერთის წლით 25 ფრ., ნახევარი წლით 15 ფრ.

მდგომარეობა უკრაინაში.

პარიზის სომხურ გაზეთის «დროშაკ»-ის ამა წლის 9 სექტემბრის №-ში დაბეჭდილია შემდეგი კორესპონდენცია უკრაინის შესახებ: «გარდა იმ საერთო საკითხებისა, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ მთელ რუსეთში, უკრაინას განსაკუთრებით აღელვებს აგრე წოდებული «ეროვნული გადახრის» საკითხი. მე ვცხოვრობდი ხარკოვში, მქოდა საუბრები უკრაინელ მოღვაწეებთან და დავრწმუნდი, რომ კრიზისი უფრო სერიოზულია, ვიდრე ზოგიერთი ჰფიქრობს. მთელი პრესა მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს.

ორი სიტყვით კონფლიქტი ცენტრთან შემდეგში გამოიხატება: მცხოვრებთა ყველა წრეში, თვითონ კომუნისტებშიაც, მეტად გამწვავებულია ეროვნული გრძნობა; ყველა სჩივის, რომ უკრაინას ექსპლოატაციას უკეთებს მოსკოვი, უკრაინის ბუნებრივი სიმდიდრენი ემსახურება მოსკალების ინტერესებს, უკრაინა აძლევს საბჭოთა კავშირს გაცილებით მეტს, ვიდრე თვითონ იღებს, რომ ველიკოროსები განაგრძობენ იმპერიალისტურ პოლიტიკას უკრაინის მიმართ. ამ მდგომარეობიდან ერთად ერთი გამოსავალია უკრაინის დამოუკიდებლობა.

მოსკოვი ამნაირ განწყობილებას ებრძვის ორის გზით: ერთის მხრით უნდა მიიზიდოს ხალხის გული სხვადასხვა ფართო აღმშენებლობით, მეორეს მხრით სასტიკად სდევნის უკრაინელ მამულიშვილებს.

ფართო მასების მთელი თანაგრძნობა მამულიშვილების მხარეზეა. უკრაინული ეროვნული სულისკვეთება სხვათა შორის გამოიხატება ენის საკითხში. რუსები არიან დამპყრობელები, მოძალადენი, და არავის უნდა მათ ენაზე ლაპარაკი. ამ ბოიკოტმა გამოიწვია მოსკოვის დეკრეტი რუსული და უკრაინული ენების თანასწორუფლებიანობის. უკრაინელები ძალზე მტრულად შეხვდნენ ამ დეკრეტს, რომელიც არღვევს მათ სუვერენულ უფლებას, და ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან მის განხორციელებას.»

ქართველები საფრანგეთში.

კვირას 9 ოქტომბერს მოხდა საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა კულტურულ-აკადემიური კავშირის გამგეობის არჩევა. კავშირის თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულია ბ-ნი მ. ხუნდაძე. გამგეობის წევრებად: ბბ. ანთაძე, ნადარეიშვილი, ინწკირველი, ვაშაძე და ბალარჯაშვილი. სარევიზიო კომისიაში: ბბ. შარაძე, ბერიშვილი და თაყაიშვილი. კრებას დაესწრო 37 წევრი.

Rédaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*

Le Gérant : LARGILIÈRE.